

1934

10

З  
А  
М  
Б  
У  
Л  
К



N-12

ЗАМБУКА

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) მისალმება „პიონერს“ — ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ. მდივანი — უ. გიორგობიანი . . . . .	2
„ „ — ს. ს. ს. რ. განსახკომი — ა. თათარიშვილი . . . . .	2
„ „ — ჟურნ. „ოქტომბრელის“ რედაქციისაგან . . . . .	2
„ „ — გაზ. „ნორჩი ლენინელის“ რედაქციისაგან . . . . .	3
„ „ — „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციისაგან . . . . .	3
„ „ — „კარმირ წილერის“ რედაქციისაგან . . . . .	3
2) პ. რ — რი — წარმატებით ჩავატარეთ „პიონერის“ იუბილე . . . . .	6
3) ალიო მაშაშვილი — ჟურნალ „პიონერს“ (მისალმება) . . . . .	8
4) ი. გრიშაშვილი — მოგონების ერთი ფოთოლი . . . . .	9
5) ცკვიტი — ჟურნალ „პიონერს“ (მისალმება) . . . . .	10
6) ირაკლი აბაშიძე — ჟურნალ „პიონერს“ (მისალმება) . . . . .	10
7) მარიჯან — მოზარდ თაობას (ლექსი) . . . . .	11
8) გრ. ხერხეულიძე — 10 წლის ახალგაზრდა! (ლექსი) . . . . .	11
9) არნო ონელი — „პიონერის“ ათი წლის თავს (ლექსი) . . . . .	12
10) ილია სიხარულიძე — „ „ „ (ლექსი) . . . . .	12
11) დ. ცვაჩინაძე — პატარებს (ლექსი) . . . . .	13
12) ლ. ჭიჭინაძე — ჩემი ზეიმი . . . . .	14
13) მ. ებრაელიძე — ათი წლისაა (ლექსი) . . . . .	16
14) ნ. ნაკაშიძე — მოგონება და სიხარული . . . . .	17
15) აკ. რეხვიაშვილი — განსაკუთრებით მიხარია . . . . .	19
16) ალ. სულავა — მხურვალე სალამი „პიონერს“ . . . . .	20
17) თამარ შავერვაშვილი — ბავშვებს უნდათ მუსიკა . . . . .	20
18) ს. მთვარაძე — მისალმება „პიონერს“ . . . . .	21
19) „ენიკუვე“ — სალამი „პიონერს“ . . . . .	21
20) გ. კაჭახიძე — ჭადრების ხეივანი (ლექსი) . . . . .	22
21) ლ. გეგეჭკორი — ოქტომბრელის სალამი (ლექსი) . . . . .	23
22) ეკ. გაბაშვილი — მოგონება . . . . .	24
23) მიშქრალი — თოვლიანი დილა სოფლად (ლექსი) . . . . .	28
24) ა. გოცირიძე — არც ჩვენა ვართ ბებრუხანები . . . . .	29
25) ბ. ჩხეიძე — როგორ დავიწყე წერა . . . . .	30
26) გიორგი კალანდაძე — შემოდგომის შემდეგ (ლექსი) . . . . .	31
27) დავ. შამათავა — ამანათი . . . . .	32
28) ს. ერთაწმინდელი — ჩემი ბარათი „პიონერს“ 10 წ. თავზე (ლექსი) . . . . .	33
29) მ. დარბინიანი — სალამი „პიონერს“ . . . . .	33
30) გ. ქუჩიშვილი — ბების მურია (ლექსი) . . . . .	34
31) აკ. რეხვიაშვილი ან. ლვინიაშვილი } ქართულ საბავ. ჟურნალების ისტორიისათვის . . . . .	36
32) „პიონერის“ იუბილეს ჩამტარებელ კომიტეტში . . . . .	46
33) მერი პუტრიაშვილი — პატარა ლენინელები (ლექსი) . . . . .	48
34) ც. ბუჭურაული — ოქტომბრელი (ლექსი) . . . . .	49
35) ლ. ხვიჩია — შრომისა და ბრძოლის 10 წელი (მისალმება) . . . . .	49
36) ს. ლომთათიძე — რებუსი . . . . .	

ჟურნალის მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობდნენ მხატვრები: ელ. ახვლედიანი, ს. მაისაშვილი, ალ. გოგოლაშვილი, ირ. გეპნერი და კახიძე.



საქ. ა. ლ. ბ. კ. ცენტრალური კომიტეტის  
მდივანი ამბ. გიორგიობიანი



განათლების სახალხო კომისარი  
ამბ. თათარიშვილი


საქ. ა. ლ. ბ. კ.  
ცენტრალური  
კომიტეტის და  
საქ. განსახლების  
და მოსახლეობის  
მინისტრის  
შეწყობის  
ნაწილის  
იუბილეს  
პატივსაცემად  
ჩემი და  
განსახლების  
მინისტრის  
შეწყობის  
ნაწილის  
იუბილეს  
პატივსაცემად

და იგი წამყვანად გადაიქცა ჩვენი პავშების საყვარელი მხარის  
კოლეგიათა შორის.  
1. 1935წ. იანვარში ჩაატარეს „პიონერის“ აჩსებობის 10წ. იუბილეს  
2. შეიქმნას საიუბილესი კომიტეტი უძველესი შემადგენლობით  
ამს. ამხ. თათარიშვილი (განსახლება თავ-ჩა), ა. გუგუნიანი (საქ. განსახლება  
აჩსებობის მინისტრის მოადგილე), გ. გოგუნიანი (განსახლება  
კ. ქაჩაჩავა (გვ. გან. განს.) ქ. გასვიანი (სახელოვანი), დ. შიბიანი (განსახლება  
დაევაროს კომისიის წევრი), ვადაში შვიმუშაძის იუბილეს პატივსაცემად  
შეიქმნას და დასახოს „პიონერის“ მიმავალი მუშაობის მუშაობის  
კონკრეტული ღონისძიებანი.  
3. დაევაროს განათლების და კომპლექსური აღმშენებელი  
იუბილეს ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, უკომ. განსახლება  
დაევაროს მან. „ასარსაზნა და კომპლექსური იუბილეს  
სახელოვანი გააშუქონ იუბილეს პატივსაცემად  
და გააძლიერონ მუშაობის მიზნით.  
მუშაობა სამხ. მინისტრის  
შეწყობის

# „ჟურნალ „პიონერი““

მესამე თაობის საყვარელ ჟურნალ „პიონერს“ მისი არსებობის 10 წლის თავზე საქ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტი უგზავნის მხურვალე ლენინურ სალოამს! „პიონერმა“ მისი არსებობის 10 წლის მანძილზე უდიდესი მუშაობა ჩატარა ჩვენი მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში, რითაც იგი გადაიქცა პიონერულ მასობრივ მრავალტირაჟიან ორგანოდ. გისურვებთ კიდევ მეტად განამტკიცოთ და აამაღლოთ ჟურნალის იდეურ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ხარისხი, შემოკრიბოთ თქვენს ირგვლივ მოწინავე საბჭოთა მწერლები, საუკეთესო მხატვრები, პედაგოგები და ახალგაზრდა მწერლები, მტკიცედ დარაზნოთ ჩვენი ახალი თაობა ჟურნალის საბრძოლო ამოცანების ირგვლივ და მაქსიმალურად მოემსახუროთ მათ გაზრდილ პოლიტიკურ-ლიტერატურულ მოთხოვნილებებს.

საქ. ა.ლ.კ.კ. ცენტრ. კომიტეტის  
მდივანი: შ. ბიორგოზიანი



ს.ს.ს. რესპუბლიკის განსახკომი მხურვალედ ესალმება ჟურ. „პიონერს“ მისი არსებობის 10 წლის თავზე. უდიდესი მუშაობა, რომელიც ჩატარა ამ 10 წლის მანძილზე „პიონერმა“ ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში, კიდევ მეტ განმტკიცება-გაფართოებას მოითხოვს, რომ იგი გახდეს სკოლებში სწავლების მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის, შევგებულნი დისციპლინის დანერგვის, ინტერნაციონალური მუშაობის შემდგომი გაღრმავებისა და მესამე თაობის პოლიტიკურ-ლიტერატურული აღზრდის მეტბოლო ორგანოდ. გისურვებთ ამ ამოცანათა შესრულების ნიშნის ქვეშ მუშაობის წარმართვას და მრავალ გამარჯვებას.

ს.ს.ს. რესპუბლიკის განსახკომი:  
ბ. თათაროვილი

ჩვენი ბავშვების საყვარელ ჟურნალ „პიონერს“ მისი არსებობის ათი წლის თავზე ჟურნალ „ოქტომბრელის“ რედაქცია უგზავნის მხურვალე მეგობრულ სალოამს. ამ ათი წლის განმავლობაში ჟურნალმა „პიონერმა“ დიდი მუშაობა ჩატარა მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში, თავის ირგვლივ შემოკრიბა მოწინავე საბჭოთა საბავშვო მწერლები, პედაგოგები და მხატვრები და ამ გზით გახდა აქტუალური, საინტერესო და მრავალტირაჟიანი. ჟურნალი „პიონერი“ თავისი მხატვრული სიტყვით ემსახურება მოზარდი თაობის მრავალათასიან არმიას, რომელიც იზრდება და ვაჟკაცდება ჟურნალ „პიონერის“ ფურცლებზე, იზრდება და მტკიცდება ჟურნალი „პიონერიც“ თავისი პროდუქციით.

ჟურნალ „ოქტომბრელის“  
რ ე დ ა ქ ც ი ა

# ჩვენი ახ. ჩვენი მკვლევარი

მრავალმხრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობის ათი წლის თავზე ჟურნალ „პიონერის“ რედაქციის თანამშრომელთა კოლექტივს და მრავალრიცხოვან მოხარულ მკითხველებს მხურვალე პიონერული სალაში „ნორჩი ლენინელისაგან!“

ამ ათი წლის განმავლობაში „პიონერი“ შესანიშნავად იყენებდა მხატვრულ სიტყვას ბავშვთა კომუნისტურად აღზრდისათვის და ეს მან შეძლო საუკეთესო საბჭოთა მწერლების, მხატვრებისა და ლიტერატურული მუშაკების შემოკრებით.

პიონერმა გადაჭრით უკუაგდო რევოლუციის წინა პერიოდის საბავშვო მხატვრული ლიტერატურის გზა, რომელიც მოხარდებში „ანგელოსების“, „ემშაკებისა“ და უკუღმართ სასულიერო პირთა ცხოვ-

რების მრავალფეროვნად და წარმტაცად ასახვით აღვივებდა შოვინიზმის გრძობას, სიყვარულს რელიგიისა და ერთი მუქა სამშობლო მიწისადმი.

„პიონერი“ დღითიდღე იზრდება, ვაჟკაცდება, თამამად ზრდის და აწინაურებს ახალ შემოქმედებით ძალებს პიონერთა რიგებიდან.

დაუშრეტი და მრავალფეროვანი ჩვენი დიდი სამშობლოს ბავშვთა უნარი და მისწრაფება!

მომავალშიაც იყავით მათი დაუშრეტი უნარისა და მრავალფეროვანი მისწრაფებათა ღირსეული ხელმძღვანელები და გამო-მხატველები!

გაზ. „ნორჩი ლენინელის“  
რ ე ლ ა მ ც ი ა

მხურვალე კომკავშირული სალაში მესამე თაობის კომუნისტურად აღზრდის მებრძოლ ორგანიზატორს, ჟურნალ „პიონერის“ სარედაქციო კოლექტივს და თანამშრომლებს!

არსებობის მთელ მანძილზე ჟურნალის ასეული მკითხველები დავაჟიადენ და ვადაეცენ ლენინურ კომკავშირს.

მომავალში კიდევ უფრო გააღრმავეთ და გაამდიდრეთ დაწყებული საქმე, უფრო შინაარსიანი, ცოცხალი, კულტურული და მხატვრულად მრავალფეროვანი გახადეთ ნორჩი თაობის ცხოვრება!

აღზარდეთ კულტურულად და მხატვრულად სოციალიზმის მშენებელთა ნორჩი ლეგიონები, გამოქედეთ მათგან „ჩვენი დედის, საკავშირო კომპარტიის, ღირსეული ვაჟები და ქალები!“

„ახალგაზრდა კომუნისტები“



სომხური საბავშვო ჟურნალი „კარმირ-წილერი“ მხურვალე სალაში უძღვრის თავის ღვიძლ ძმას, ჟურნალ „პიონერს“ მისი არსებობის 10 წლის თავზე;

ათათასობითა ჰყავს „პიონერს“ მკითხველი, მრავალი მწერალი შემოიკრიბა მან, იზრდება „პიონერი“! სალაში ათწლიან „პიონერს“!


„კარმირ წილერის“ რედაქცია

# ქუჩა და „მშენებელი“



ს/ა. კეცელიძე

მ. კახიანიძე



მ. თაყაიშვილი

# საქართველოს საბჭოთაო საზოგადოებრივი საბჭო



ს. ჯურგულაშვილი



მ. გიორგიანი

მ. გიორგიანი



ზ. თამაშვილი



ს. კობახიძე



ზ. კობახიძე



# წარმავებით ჩავასტაროთ პიონერის იუბილს

ჩვენნი ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმისადმი კომუნისტური პარტია, მისი უახლოესი თანამემწე ლენინური კომკავშირი და მთელი საბჭოთა კულტურული საზოგადოებრიობა განსაკუთრებულ სიყვარულსა და მზრუნველობას იჩენენ. ამ კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო იარაღს წარმოადგენს ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურა, რომლის ორგანიზებული ნაწილია საბავშვო ჟურნალები. მაღალი ღირსების საბავშვო ჟურნალი ასრულებს ასიათასობით ბავშვთა მხატვრულ პოლიტიკური აღზრდის საუკეთესო აგიტატორის როლს. საბავშვო ჟურნალი სინამდვილეში ბავშვის სულისა და გულის, მისი მოთხოვნების, მისი განცდების მესაიდუმლეა. თანამედროვე საბავშვო ჟურნალის ძირითადი ამოცანაა გააღრმავოს ახალ თაობაში ინტერნაციონალური სულისკვეთება, განამტკიცოს ბავშვებში შეგნებული დისციპლინის მკვიდრი ჩვევები, აამაღლოს მათი მხატვრული მეტყველების კულტურა, ფართოდ გააცნოს მათ სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიული პერიოდები, გამოჰქედოს მათგან საზოგადოებრივი ქონების დამცველი საუკეთესო გმირები, დაეუფლოს ისინი მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიული განვითარების ცალკეულ საფეხურებს და, რაც მთავარია, მისი განვითარების დღევანდელ მიღწევებს. საბოლოო ანგარიშით თანამედროვე საბავშვო ჟურნალის ძირითადი ამოცანაა აღზარდოს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის მებრძოლი თავდადებული, შეგნებული, ორგანიზატორი გმირები. აქ ერთი საკითხი დაიბადება: როგორ მოახერხოს ამ პატარა საბავშვო ჟურნალმა ამ გრანდიოზული ამოცანების დაძლევა? ეს საკითხი მთელი თავისი სიმწვავით ებჯინება ჟურნალის მუშაობის ყველა წვრილმანს. ამ კითხვა-

ზე მხოლოდ ერთი პასუხის გაცემა შეუძლებელია: საბავშვო ჟურნალის ამ ამოცანების გადაჭრის საქმე ხელთ უნდა ეპყრას ისეთ მწერლებს, ისეთ მეცნიერ მუშაკებს, ისეთ მასწავლებელთა და საზოგადო მოღვაწეთ, რომელნიც იცნობენ ბავშვის ფსიქოლოგიას და მისი ზრდის სხვადასხვა საფეხურზე ახალახალ მოთხოვნილება-განცდების სპეციფიკას. საშინელებაა, როდესაც იწერება ლექსი, მოთხრობა, ნარკვევი ან ლიტერატურული სხვა ჟანრის ნიმუში საერთოდ ბავშვებისათვის და კონკრეტულად მასში გათვალისწინებული არაა მკითხველის თავისებურებანი. ჯერ კიდევ ბელინსკი ამბობდა, ყველას არ შეუძლია წეროს საბავშვო ნაწარმოები, იგი მეტ უნარს, მუშაობას მოითხოვს, და ეს მაქსიმალურ კიმატ აღნიშნა გასულ წელს და მარშაკმაც საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე ამ ზაფხულს. მარშაკმა ხაზი გაუსვა, რომ „საბავშვო ნაწარმოები მწერლისგან მოითხოვს განსაკუთრებით დაჟინებულ სერიოზულ მუშაობას“, და ეს სრული ჭეშმარიტებაა. ბევრს ჰგონია, საჭიროა მწერალი დავიდეს ბავშვამდე, რომ გახდეს ბავშვისთვის საყვარელ შემოქმედადო. ეს მცდარი აზრია. საბავშვო მწერლად გახდომისათვის გაბავშვება ყველაზე მცდარი გზაა, საჭიროა გესმოდეს ბავშვის განცდები, საჭიროა გიყვარდეს ბავშვი, — ეს უკანასკნელი თითქმის მთავარია, უამისოდ ნაწარმოებს სიმშრალისა და სქემატურობის დაღი არ მოშორდება და არც ბავშვები მიიღებენ. ზოგადი ფრაზები და სიტყვების კორიანტელი ბავშვისთვის უინტერესოა.


საბავშვო ჟურნალების მხატვრული გაფორმების დროს მხატვრებმა განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინონ აუდიტორია. უკანასკნელ წლამდე საბავშვო ჟურნალების ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი მასში მდგომარეობდა, რომ სურათებში მოცემული საგნები დამახინჯებული იყო. კვადრატული სახეები, წითელი ღორები, მწვანე ვარდები, სიმბოლიკური კონსტრუქციები და სხვა





ასეთი „თავისებური სტილიანობა“ ბავშვს სინამდვილეს უმხინჯებს, ამხინჯებს თვით ბავშვის წარმოდგენას. საბავშვო ჟურნალის კარგად გამართვა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე სადიდო ჟურნალისა. ჟურნალის მუშაობაში ეს უფარესად სერიოზული მოქმედა. ბავშვის ნაწარმოებები უნდა დაიბეჭდოს. მაგრამ დიდი სიფრთხილით და ნაწარმოების ავტორთან ხანგრძლივ მიწერ-მოწერის გზით. საბავშვო ჟურნალი „პიონერი“ მისი წარმოშობის პირველ წლებში (1924-1928) უმთავრესად პოლიტიკურ-სააგიტაციო ორგანოს წარმოადგენდა. ეს ბუნებრივიცაა და ამ დარგში მან უდიდესი მუშაობა ჩაატარა. უკანასკნელ წლებში რომ ვაჩაღდა ბრძოლა ლიტერატურული მშენებლობის ფორმებზე ს. კ. პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 23/IV-ის დადგენილების რეალიზაციისათვის, ამან თავისი უშუალო გამოხატულება პოვა „პიონერის“ ფურცლებზედაც: თუ წინა წლებში „პიონერი“ მეტწილად შემთხვევითი ავტორების ნაწარმოებთა ხარჯზე არსებობდა, უკანასკნელ წლებში მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა მთელი რიგი საუკეთესო მწერლებისა და ახალგაზრდა ნიჭიერი ძალებისა: შ. მღვიმელი, გ. ქუჩიშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ეული, ს. ერთაწმინდელი, ი. სიხარულიძე, ნ. ნაკაშიძე, ცქვიტი, მარიჯანი და სხვა მწერლები აქტიურად ჩაებნენ მუშაობაში. „პიონერის“ ნამდვილი შემოქმედებითი გარდატეხის წლები მაშინ დაიწყო, როცა მის მესვეურნი და მიმართულების მომცემნი გახდნენ მოწინავე პროლეტარული მწერლები: პ. ჩხიკვაძე, პ. სამსონიძე, კ. ლორთქიფანიძე, ა. მაშაშვილი და ცოტა გვიან ე. პოლუმორ ვინოვი, ი. აბაშიძე, გ. კაჭახიძე, ბ. ჩხეიძე, კ. ბობოხიძე, ადამია, არ. ჩაჩიბაია და სხ. „პიონერის“ ირგვლივ მუშაობს ნიჭიერ ახალგაზრდა მწერლების კადრი. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ლ. ჭიჭინაძე, დ. შამათავა, კალანდაძე, მ. ებრალიძე და სხ. ამ მწერალთა აქტიური შემოქმედებითი მუშაობის საშუალებით „პიონერმა“ უდიდესი

მუშაობა ჩაატარა ზემონახვენებ ამოცანათა გადაჭრისათვის და ამიტომ იგი გაცილებით დიდტირახიან საყვარელ ჟურნალად ჩვენი ბავშვებისთვის, პირველ რიგში კი მრავალათასიან პიონერთათვის. ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ გაითვალისწინა რა „პიონერის“ უდიდესი დამსახურება ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში, ა.წ. 26 ნოემბერს საქ. კ. ცეკამ და საქ. განსახკომმა დაადგინეს: 1935 წლის იანვარში ჩატარდეს საქ. ს. ს. რესპუბლიკის მამრებით „პიონერის“ არსებობის 10 წლის საიუბილეო ზეიმი. ეს იუბილე უნდა გადაიქცეს მთელი ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის უდიდეს ზეიმად, რომ მაქსიმალურად გამახვილდეს ჩვენი მასწავლებლობის, მშობლებისა და საზოგადოებრიობის ყურადღება ახალგაზრდობისა და ბავშვა მხატვრულ-ლიტერატურული აღზრდის საკითხებზე. მისი ჩატარების პროცესში მიღწეულ უნდა იქნას ლიტერატურული წრეების მუშაობის განმტკიცება, ინტერნაციონალური მუშაობის გაშლა, სწავლების მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა, შეკნებული დისციპლინის განმტკიცება, ბავშვა შემოქმედებითი ნიმუშების გამოაქვანება და მასწავლებელთა ყოველდღიური ზრუნვა მწერალთა ახალ-ახალი კადრების აღზრდისა და წამოწევისათვის ჩვენს ჟურნალებში და საერთოდ პრესაში. „პიონერის“ იუბილეს ჩატარების პროცესში ყველა ტიპის სკოლებში სისტემატურად უნდა მოეწყოს შემოქმედებითი საღამოები, სადაც მასწავლებლებმა და მოწაფეებმა უნდა წაიკითხოთ მოხსენებები, რეფერატები, საუბრები ქართული საბავშვო ლიტერატურის და კერძოდ საბავშვო ჟურნალების ისტორიული განვითარებისა და დღევანდელი მდგომარეობის საკითხებზე. უნდა გაირჩეს „პიონერის“ სხვადასხვა წლების და განსაკუთრებით უკანასკნ. წლების ნომრები და იქ მოთავსებულ მწერლებზე და მათს ნაწარმოებებზე შეკრებილი იქნას მკითხველთა შთაბეჭდილებები, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეგზავნებოდეს „პიონერის“ რედაქციას



იუბილეისთვის მიძღვნილ რაიონულ, საქალაქო, სასკოლო და ჯგუფური შეკრებიდან, ცალკეული მასწავლებლებისა, მშობლებისა და მოწაფეთაგან, პიონერაზმებისა და ცალკეული პიონერებისაგან. „პიონერს“ უნდა ეგზავნებოდეს მილოცვები, წერილები და სხვა ხასიათის მასალები. „პიონერის“ იუბილეს წარმატებით ჩატარების გზით უნდა მოხდეს მისი მუშაობის რადიკალური გაუმჯობესება, მის ირგვლივ საუკეთესო მწერლების, ახალგაზრდა ძალების, მასწავლებელთა და მკითხველთა მჭიდროდ შემოკრება, მისი მხატვრული გაფორმების გაუმჯობესება და ამ მიზნით საუკეთესო მხატვრების შემოკრება. „პიონერის“ იუბილემ უნდა განამტკიცოს ჟურნალის ფინანსური ბაზა, რისთვისაც საქართველოს, აჭარისტანის, აფხაზეთის განსახ-

კომებმა და სხვა საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებებმა და სხვა ორგანიზაციებმა, რომელნიც უშუალოდ მოწოდებულნი არიან საბავშვო ლიტერატურის განვითარებისთვის ხელშესაწყობად, უნდა გაიღონ სათანადო რაოდენობის ფულადი სახსრები. ეს საქართველოს განსახკომის მიერ მითითებული აქვს აღნიშნულ ორგანიზაციებს. „პიონერის“ 10 წლის არსებობის იუბილეს საქართველოს მუშა და კოლმეურნე მოსწავლეს ახალგაზრდობის მასური შემოქმედებითი ზეიმა. იგი მოითხოვს განათლების და კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების განსაკუთრებულ ხელმძღვანელობას, მზრუნველობას და ეს გარემოება მათ მიერ აქედანვე უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული.

პ. რ-რი



პოეტი ალიო მაშაშვილი

ჟურნალ „პიონერის“ ყოფილი რედაქტორი

უკანა „პიონერს“

ქუთაისში  
 და სხვა ადგილებში  
 „პიონერის“ ადგილობრივი  
 მკითხველებს  
 ვუსურვებ მას წარმატებებს  
 მისი და მისი მკითხველების.

ალიო მაშაშვილი

1935 წ.

# მოგონების ერთი ფოტოლი


საბავშვო ლექსები ბავშვობიდანვე მიზი-  
დავდა.

ჩემი უბედურება, როგორც პოეტისა,  
ის იყო, რომ არ ვტრიალებდი საბავშვო წრე-  
ში, სურვილი კი დიდი მქონდა, ვგრძნობ-  
დი, რომ ჩემი ენა და ლექსთწყობა პა-  
ტარებს გაახარებდა. ბუნება ამეწერა? მარ-  
ტო ბუნების აწერა არ მაკმაყოფილებდა,  
მინდოდა, რომ ბავშვი უშუალოდ მონა-  
წილე ყოფილიყო ბუნებისა და ლექსი უფ-  
რო ცოცხალი და ხალისიანი გამოსულიყო.

პირველი ადამიანი, რომელმაც საბავშვო  
ლექსის დაწერა მომთხოვა, ეს იყო „ნაკა-  
დელის“ რედაქტორი მარიამ დემურია;  
როცა მე მას სხვადასხვა მიზეზი დავუახსენე  
უარისათვის, მითხრა: რომელიმე ქართული  
ზღაპარი მაინც გამილექსეო, და გადმომცა  
პეტრე მირიანაშვილის ძიერ შედგენილი და  
ქართველ ქალთა წრის გამოცემული ზღაპ-  
რების წიგნი. ერთი ზღაპარი ავიღე თემად  
და მაშინვე გავლექსე კიდევ; ეს იყო  
„სიზმარა“. სამწუხაროდ, ეს ჩემი ზღაპარი  
მისი რედაქტორობით გამოცემულ „ნაკა-  
დელში“ ვეღარ დაიბეჭდა, რადგან მარიამ  
დემურია იმ ხანებში გამოეხალმა წუთისო-  
ფელს (1910 წ. „ნაკადელში“ დაბეჭდეთ).

ასევე მახალისებდა ამ სარბიელზე სამუ-  
შაოდ ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა  
(„ჯეჯილი“), ნინო ნაკაშიძე („ნაკადე-  
ლი“), მარიამ ორახელაშვილი (საბავ. სექ-  
ცამომცემლობა). მაგრამ მე მაინც საბავშვო  
ლიტერატურას ვერ მივეცი ის, რის მიცე-  
მაც შემეძლო. ეს, ალბათ, იმით აიხსნება,  
რომ ჩემს ლირიკულ ზეშთავგანებას დატყვე-  
ვებული ვყავდი და „სხვისთვის“ არ მეცალა.

ჩემი ნაყოფიერი მუშაობა ბავშვებისა-  
თვის 1926 წლიდან იწყება. მე უფრო მკი-  
რეწლოვანთა სულის აღნაგობა მაინტერე-  
სებდა. ამ ხნის განმავლობაში დაბეჭდილი  
მაქვს რამდენიმე წიგნაკი: „ჩემი პატარა წიგ-  
ნი“ (1926 წ.), „გოგია და მურია“ (1927 წ.).  
გამომცემლობა „ზაკნიგამ“ 1929 წელს გა-



პოეტი ი. გრიშაშვილი

მოსცა ქართულ ანბანზე აწყობილი ლექ-  
სები „სურათებიანი წიგნის“ სათაურით,  
რომელსაც, არ ვიცი რატომ, ჩემი სახელი  
არ აწერია. 1930 წელს გამოვეცი „ეთე-  
რიკოს თაივული“; ვთარგმნე მიტჩელის  
„ახალი ორთქლმავლის სიმღერა“, ჰაშეკის  
„მაგარი კანი“, თუმანიანის „ძაღლი და  
კატა“, „ერთი წვეთი თაფლი“, „გიქორი“  
და გელინას „არაბი ჰასანა“. ამჟამად  
იბეჭდება „ოთხი დრო“. ბევრი ჩემი ლე-  
ქსი სახელმძღვანელოებშია გაბნეული, —  
ხშირად არეულად დაბეჭდილი. ჩემს გვარს  
არც იქ აწერენ...

უკანასკნელ დროს ლექსების ფრონტს  
ჩამოვწყდი. გამიტაცა გამოკვლევებმა. მაგ-  
რამ არ ვივიწყებ ახალთაობასაც. ვიპარავ  
დროს და ხანდახან ჩემს საყვარელ ბალ-  
ღებსაც ვესაუბრები...

აკაკი თავის მოგონებაში წერდა: „იმ-  
დენი უხელო სუფევს მოზრდილებში, რომ  
შხოლოდ ქალებისა და ბავშვების სიყვა-  
რული მაძღვებინებდაო!“

ეს სიტყვები მეც მინდა გავიმეორო.

ი. გრიშაშვილი


საქართველოს ნორჩი თაობის პატარა გული ქურნალ „პიონერისათვის“ ის წალკოტია, სადაც მისი დეაწლი ფუძედ ეყრება მომავალი მოქალაქის ღამაზ მეტყველებას და ნაყოფიერ აზროვნებას.

გულით და სულით ეუსურვებ „პიონერის“ ხელმძღვანელთ, რომ ქურნალის მიერ განვლილი ათი წელი და მათი მძიმედ საპასუხისმგებლო მოვალეობა მომავალ შემოქმედებას გზად და ხიდად გაედოს საუკეთესო და ბრწყინვალე მერმისისათვის.

ცქვიტი



მწერალი ქალი ცქვიტი



პოეტი ირ. აბაშიძე

მხურვალედ ვესალმები ჩვენი უმცროსი ამხანაგების, უმცროსი, თანამებრძოლების საყვარელ მესიტყვეს, ქურნალ „პიონერს“, მისი დაბადების ათი წლის თავზე.

დიდად კმაყოფილი ვარ, რომ ამ ათი წლის მანძილზე რაოდენიმე წელი მეც ვიყავ იმ ერთგულ თანამშრომელთა რიგებში, რომელნიც დაულაღვავა მუშაობდენ, იბრძოდენ ჩვენი საყმაწვილო ქურნალის იდეურად და მხატვრულად განმტკიცებისათვის.

ამ ათი წლის ბავშვმა ფრიად დიდი საქმე გააკეთა ჩვენი ქვეყნის მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს საოცრების ქვეყანაში ეს მიღწევები თვითკმაყოფილებას ვერ მოგვგვრიან და შემდეგ ათწლეულში მოველით „პიონერისაგან“ კიდევ მეტ ახალ გამარჯვებათა საოცრებებს.

ირაკლი აბაშიძე



მ ა რ ი ჯ ა ნ ი

## მოხარდ თხოვას

უნდა ისწავლოთ! უსაქმოდ ნუ ხართ,  
ჩვენი ცხოვრების თქვენ ხართ თაველი!  
აბა, გახედეთ გადაშლილ რუკას —  
თქვენს წინ სივრცეა განუსაზღვრელი.  
ამის პატრონი ნუთუ დაცხრება?  
შემოირკალეთ გული ფოლადით,  
სისხლში ჩაისხით ახალი მცნება:  
უძლოური ძლიერს გაუტოლადდით!  
გაკაფულია გზა ეკლიანი—  
თქვენ წინ ბრწყინვალე მომავალია.  
იშვა ახალი ადამიანი  
და იმის აღზრდა ჩვენი ვალია.  
რაც სიკეთეა — მიიღეთ ჩვენგან,  
ყოველი ნაკლი დაქალღმერთ, დაგმეთ,  
რომ ხელჩართულნი გაუძლიეთ ყველგან  
ჩვენი სამშობლოს უდიდეს საქმეს.  
დაგემორჩილოსთ მთელი პლანეტა,  
დე, მიწის ზურგზე ნურავინ ობლობს,  
არ დაგვრჩეს არსად მშრომელი კენტად —  
ყველამ იწამოს შრომის სამშობლო!

მარიჯან

ჩანჩქერივით მოვარდი,  
მიეხალე ნაპირებს,  
მდორეს შხეფი ესროლე,  
გაფანტე და გაშალე,  
შენით ახალგაზრდობა  
დღეს ხომ ბრძოლას აპირებს,  
მათ გრძნობაში ძველი დრო  
ერთი მოსმით წაშალე!

ჯერ ხომ ახალგაზრდა ხარ;  
სულ ნორჩი და ყმაწვილი,  
და შენ მაგარ კუნთებში  
ახალგაზრდა სისხლია,  
ამ ათი წლის მანძილზე  
დიდი შემოგაქვს წვლილი  
ცუდი და უნაყოფო  
ნამყენიდან გისხლია!

უხარია მეგობარს,  
ცმუკავს ახალ კვიცივით,  
კმაყოფილი სახეზე  
და დაბრაწულოლოყება,  
ყელსახვევი წითელი  
იღიმება, იცინის,  
პიონერი თინიკო  
შენზე ამბავს მოყვება!

არ დაინდო, თუ ვინმე  
შეფერხებას ეცადოს —  
მტერს სახეში ესროლე  
ჩაკირული ვაზნები!  
აბა ვინ რას დაგაკლებს,  
ძალიანც რომ ეწადოს:  
შენ ხომ მცველად გარტყა  
პიონერთა რაზმები!

ახლა დგახარ ამაყად,  
მაგრა ჭიმავ შენ ძარღვებს  
და შენთვის ეს დღეები  
მხურვალე და მწველია,  
10 წელი შესრულდა,  
რაც სიძნელეს მიარღვევ,  
რაც მიდიხარ ამ გზაზე  
უკვე ათი წელია!

გრიგოლ ხერხეულიძე

# "პიონერის" 10 წლის თავი



არნო ონელი

რა გულმოდგინეთ შრომობ და იბრძვი,  
ურიცხვ რაზმების ხარ ჩირაღდანი!  
თვალანთებულო ლენინურ ფიცით  
ხარ ნორჩ თაობის საქმის გამტანი.

ათი წელი ხომ ათი რგოლია  
პიონერული შრომის მზიდავი;  
დიადი ბრძოლის თანატოლია  
შენი ნაბიჯი პირველ გზიდანვე.

ხარ სიტყვის გრდემლი, ქურა აზრისა,  
პიონერის საყვირი, დოლი, —  
როგორც ცისკარი განთიადისას  
ახალ თაობის მხნე წინამძღოლი.

არნო ონელი

ათი წელი, ბრძოლის წელი!  
მებრძოლს ბრძოლა ამშვენებს,  
და სალამი ჩემი წრფელი  
მიიძღვენი — ჰა, შენ ეს!!

მე ვუერთებ ჩემს ხმას რაზმებს  
წითელყელსახვევიანს  
და ვუცქერი ტრფობით და-ძმებს,  
გარს რომ შემოგხვევიან!

ათი წელი, გზა არ ვრძელი,  
მაგრამ ნარ-ეკლოვანი,  
გზა რთულ შრომის, —  
გზაა ძველი,  
მაგრამ სახელოვანი!

ათად შეკრულს, აკინძულს წლებს  
დღეს სიამით ვიგონებ  
და უთვალავ ხასხას ფურცლებს  
ფურცლავ, ვუცქერ სტრიქონებს.

შიგ ვკითხულობ: შინ და ვარეთ  
მტრებს როგორ ვანადგურებთ  
და როგორ ვქმნით ახალ ყოფის  
მშენებლობის აგურებს,

ახალ სოფლებს და ქალაქებს  
ზედიზედ რომ ვაშენებთ,  
ელნათურის ვარსკვლავებით  
ლამეს გადავაშენებთ!

შიგ ვკითხულობ, რომ ქვეყანა  
ძველი ლპება და იწვის,  
პიონერი დღეს ყველგანა  
შრომობს, სწავლობს და იბრძვის!

ფურცლავ ფურცლებს და ფურცლები  
სიმღერით ირხვევიან:

„სასახელო ბრძოლის წლები  
განვლეთ, ბრძოლა გვჩვენეთ!“

წინ ნაბიჯი მტკიცე, ჩქარი,  
ბრძოლის მტკიცე ჩვევებით!  
შენ მოგყვება ყრმათ ლაშქარი  
წითელ ყელსახვევებით!

და სალამი ჩემი წრფელი  
მიიძღვენი — ჰა, შენ ეს!!  
ათი წელი, ბრძოლის წელი,  
მებრძოლს ბრძოლა გამშვენებს!


ილია სიხარულიძე

# პატარებს

როცა ცელქი ოცნება  
სუბუქ ფრთებით მატარებს,  
სიო თმებს იკოცნება,  
მზე ბინდს აღარ მკარებს, —  
ყოველ ბაღში ვარდსა ვკვრეტ,  
ყოველ ვარდში პატარებს...  
და აღერსით აღსავსე  
ვიწვი ლაქვარდ ჩქერებში.  
ოჰ! ასე მსურს, სულ ასე,  
გავქრე ლამაზ ფერებში.

ხოლო როცა კაეშნის  
ღამე სულში ჩაწვება,  
ფიქრში ქარი არ იშლის,  
ცრემლი ღაწვებს აწვება,  
დაეინახავ პატარებს  
ხელში გაშლილ დროშებით,  
ცა დახარის მათ არეს,  
გზა რეკს ოქროს ქოშებით,  
მეც მომავლით ვიგზნებ გულს  
და იმედის ჩანგითა,  
მათ მხნე ნაბიჯს მხიარულს  
ვუძღვრ ბრძოლის ჰანგითა.

და თუ საღმე წავიქცე,  
სინათლე გამეყაროს,  
ფერფლი ფერფლად გაღვიქცე,  
შეფუერთღე სამყაროს, —



დ. ცვარნამი

მინდა მათი ცრემლები  
საფლავზე დამეყაროს,  
რომ ამ რწმენით აღსავსე  
მთლად ავენთო ვიცეცხლო...  
ოჰ! ასე მსურს, სულ ასე,  
მარად მათში ვიცოცხლო!

დ. ცვარნამი



მე დიდიხნის კი არ ვარ...

ათი წელი ახლა შემისრულდა.

პირველად „წითელი სხივი“ მერქვა, შემდეგ „პიონერი“ დამარქვეს. დამარქვეს და ეს სახელი დღევანდლამდის დამრჩა.

ათი წელია თქვენისთანა თვალეცქრი-ალა ბავშვების ხელში ვარ, პიონერებს რომ გეძახიან.

პირველად მეც პატარა ვიყავი...

ნელა ავიდგი ფეხი და მზის სინათლეზე გამოვედი, სადაც თქვენი გამაცოცხლებელი ყიჟინა ისმის. ვისწავლე თქვენი ენა, თქვენი გულის ზრახვები და მისწრაფებანი. ვიზრდები ასე და ვვაჟაკდები.

ათი წელი აბა რა დიდი მანძილია, მაგრამ, იცით, ამ მოკლე დროის მანძილზე რამდენი კარგი საქმე გავაკეთე?

თქვენ იმ ქვეყნის პიონერები ხართ, სადაც თავისუფლების დროშა ფრიალებს. თავისუფალ ქვეყანაში დაიბადეთ და თავისუფლად იზრდებით. მაგრამ დედამიწის ზურგზე ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი ქვეყნები, სადაც თქვენმა ტოლმა ბავშვებმა არ იციან რა არის თავისუფლება.

ისინი ამაზე ოცნებობენ...

ათი წელიწადია, რაც საინტერესო ამბებს გაწვდით...

თქვენ კითხულობთ და გეზულობთ უცხოელი პატარა გმირების თავგადასავალს.

მე ათი წლის მანძილზე აღარც კი მახსოვს რამდენი ახალი, საინტერესო და საგმირო ამბავი მოგიტანეთ. ამ ბოლო ხანებში დიდიხანს გესაუბრეთ პატარა პავლიკა მოროზოვის გმირობაზე.

პირველად მე ასე თამამი კი არ ვიყავი. ახლა დავაჟაკებული ვარ, ვაბედულად ვლაპარაკობ ოციათას პიონერთან. ალბათ, ამიტომ მიხდიან ათი წლის იუბილეს.

იუბილე კარგია.

ქება არ მეწყინება.

თქვენ იცით, ეს ზეიმი რას მაკისრებს, და მეც ვიცი.

თქვენ მზიარული ბავშვები ხართ. დღეს მეც მზიარული ვარ. იცით, მე რა მახარებს? იქნებ იცოდეთ, მაგრამ მე მაინც უნდა გითხრათ. ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ მე რომ პიონერებს მოთხრობებსა და ლექსებს ვუყვებოდი, ახლა ისინი მოზრდილი ბიჭები არიან. ზოგიერთ მათგანს ქართული ძალიან კარვად უსწავლია, წარმოიდგინეთ, რომ კალამიც მოუმარჯვებიათ. ისინი ლექსებსა და მოთხრობებს წერენ, მწერლები გამხდარან.

აი, რა მახარებს მე!

მესამე თაობის უთვალავო ლაშქარო, ვეცდები გავამართლო ის იმედები, რასაც ჩემგან ელით. მე ამის იმედი მაქვს. ჩემს ირგვლივ ბევრი კარგი მწერალია შემო-



კრებილი. ისინი თქვენზე ფიქრობენ, თქვენ-  
თვის წერენ, წიგნებს გიშვადბენ.

მე და თქვენ ერთნაირი სახელი გვქვია:  
პიონერს გვეძახიან.

ასე უამბო იუბილიარმა თავისი თავვა-  
დასავალი პიონერთა ერთ ჯგუფს, როცა  
მას იუბილეს მოწყობა განუხრახეს. პიონე-  
რები სულგანაბულნი უსმენდნენ. ბოლოს  
ერთმა ჰკითხა:

— წინაპარი ხომ გყავდა?

იუბილიარმა გაიღიმა.

— იპ, კინალამ დამავიწყდა! როგორ არ  
მყავდა. ჩემს წინაპრებს „ნობათი“ და „ჯე-  
ჯილი“ ერქვა. მერწმუნეთ, ჩემს დაეჯეკა-  
ცებაში იმათაც წილი უდევთ, თუმცა ისი-  
ნი ეკლესიას ჰიმნს უმღეროდნენ, მე კი,  
თქვენმა მამებმა, მუშებმა და გლეხებმა


რომ ეკლესიის გუმბათები დაამტვრიე-  
მათთან მივიღე მონაწილეობა.

პირველმა პიონერმა გულდასმით მოი-  
სმინა პასუხი თავის შეკითხვაზე. ის კმაყოფი-  
ლი დარჩა. მას სხვა შეკითხვა არ ჰქონდა.

მერღ ზეორე პიონერმა წამოიძახა:

— „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“ რომ  
მწერლები წერდნენ, ახლა ისინი აღარ წერენ?

— ამ შეკითხვაზე ბევრის ლაპარაკი შე-  
იძლება, მაგრამ მე მოკლედ გეტყვით. ბევრი  
მათგანი ცოცხალია, მაგრამ ზოგი თქვენს  
ენას ვერ მიხვდა და გაჩუმებულია. ძია  
შიო თქვენს გულის წადილს აღრე მიხვდა,  
მაგრამ ის შარშან ამ დროს გარდაიცვალა.  
ეკატერინე გაბაშვილი ძალიან მოხუცდა,  
მაგრამ ბავშვებზე ფიქრი მაინც არ ასვენებს,  
ნინოს ხომ თქვენ არასდროს არ დაავიწყ-  
დებთ: ის მრავალ გასართობს ადგენს  
თქვენთვის. ცკვიტი ხომ ამ ბოლო ხანებში  
ძალიან კარგ ხასიათზეა, თითქმის ყოველ-



დღე შემოდის ჩემს რედაქციაში და ახალი მოთხრობა მოაქვს. დ. ცვარნამი წინათ გაბუტულივით იყო, ახლა კი ხშირად მოდის ხოლმე. ქუჩიშვილი მუდამ ჩვენთან არის.

„პიონერმა“ იქით-აქეთ მიმოიხედა, გაუკვირდა, ირგვლივ რომ მრავალი ბავშვი ეხვია. მას შეკითხვები დასრულებული ეგონა, მაგრამ მესამე პიონერმა წამოიძახა:

— ახალ მწერლებზე რას გვეტყვი, ვინ უფრო მუშაობს ჩვენთვის?

— ეჰ, ჩემს ფურცლებზე ბევრი ახალ-გაზრდა მწერალი გამოვიდა: ელიზბარი,

კოწია, პანტელეიმონი, მაგრამ ახლა ნაკლებად იხედებიან აქეთ. ამ ბოლო ხანებში ირაკლიც შემოგვწყურა. გიორგი ჩვენთან არის, ის აღარ გვიღალატებს. მას ჩემი ზემი უხარია, კარგი მისალმება დამიწერა. შალვას ამაგი ხომ პირდაპირ დაუფიწყარია და ბორისიც ჩვენთან არის.

პიონერების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს დაუფიწყარი შეხვედრა იყო, როცა ჟურნალ „პიონერსა“ და მათ შორის ასეთი ტკბილი საუბარი გაიმართა.

ლავრ. ჭიჭინაძე

## ათი წლისაა

ჯეჯილი უკვე გამხმარა,  
არც ნაკადული ჩხრიალღებს,  
გულწითელღებმა გახარა,  
სიხარულს გაგიზიარებთ!  
თქვენი ჭირიმე, მერცხლებო,



ახალგაზრდა მწერალი მ. ებრალიძე

მეც მირბენია თქვენსავით,  
დღეები მოივერცხლება,  
იცინეთ დილის მზესავით!  
იცინეთ, ეს დღე თქვენია,  
დალიეთ ტკბილი შარბათი,  
ჩვენ სიხარული გეჩვევია,  
კრიალა ზეცა დაგენათის...  
ზეიმს უტარებთ მეგობარს,  
ის ახლა ათი წლის არის,  
თქვენ ხომ ცხოვრება პირველად  
„პიონერიდან“ იცანით.  
დღესაც ნათელი ფურცლებით  
ის მარგალიტებს გვიმზადებს,  
მღერიან ბავშვთა გუნდები:  
„ჩვენო ჟურნალო, იზარდე!  
იზარდე, წლები წაგადგეს  
შეურყევ მუხის ფესვებად,  
კვლავ შენ ფურცლებზე ქარგავდე  
ჩვენ გამარჯვებებს ლექსებად!“  
მეც მირბენია თქვენსავით,  
„პიონერს“ ჩემი სალამი!  
მუდამ ბრწყინავდეს მზესავით  
მასში მოძრავი კალამი.

მ. ებრალიძე

# მომონება და სიხარული

სწორედ მე-31 წელიწადია, რაც მე საბავშვო ლიტერატურას ვემსახურები.

1904 წელს ბავშვების მოამავის და მშრომელთა მეგობრის მარიამ დემურიას მეცადინეობით დაარსდა ჟურნალი „ნაკადული“. მე პირველი ნომრიდანვე შევეუდექი ამ ჟურნალში თანამშრომლობას და ამ დიდ და საყვარელ საქმეს მთელი ჩემი ძალღონით და სულითა და გულით ვემსახურები მას შემდეგ.

1905 წელს მოჰყვა საშინელი რეაქცია, ხალხის ჩაგვრისა, წამებისა და ტანჯვის ერთფეროვანი მწარე წლები. მე წილად მხვდა ამ დახუთულ დროს, 1910 წლიდან გავმზადრეიყავი ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორი. ჩვენი ჟურნალი განიცდიდა დიდ შეზღუდვას მეფის მთავრობისაგან. არ შეგვეძლო თავისუფლად გვეწერა ის, რაც მშრომელი მასის ბავშვებისათვის იყო საჭირო, უნდა ათასნაირი ხერხი გვეხმარა, ამოუფარებოდით იგავ-არაკებს, ზღაპრებს და საღვთისწაულო ლექსებსა და მოთხრობებს, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ჩაგვექსოვა შიგ თავისუფლებისადმი სიყვარული, რევოლუციისათვის თავგანწირვის იდეები. საუკეთესო მწერლები გვეხმარებოდნენ და ეს გვაძლევდა ძალღონეს დაუღალავად შეგვესრულებოდა ჩვენი მოვალეობა. ჩვენთან იყვნენ დიდი აკაკი, ი. გოგებაშვილი, ეკ. გაბაშვილი, ალ. მირიანაშვილი, შიო მღვიმელი, ვაჟა-ფშაველა, ირ. ევდოშვილი, არაგვისპირელი შიო, თედო რაზიკაშვილი, ბაჩანა, ივ. მაჭავარიანი, ო. ბეჟანიშვილი, დ. კარიჭაშვილი; მხატვრები: ო. შმერლინგი, ა. მრევლიშვილი და სხვა მრავალი.

ბევრმა მწერალმა პირველად ჩვენ ჟურნალში დაიწყო წერა და ახლა ცნობილი მწერლები არიან. ყველას ასულდგამულებდა მომავლის იმედი და ყველანი ვუყურებდით იმ შავ-მწვანე დროს, როგორც ვარდამავალ ხანას. და აი, გადაიბრინა წლებმაც— დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ბედმა მარჯუნა ბედნიერება შემედგინა 1924 წ.

იანვრისათვის პირველი პიონერული ჟურნალი „წითელი სხივი“. ყოველი სიტყვა, ლექსი, წერილი, ნახატი და თვით სახელი „წითელი სხივი“, რომელიც ჩემი მოთქმებული იყო, ისე მახლობელია ჩემთვის და საყვარელი, ისე განცდილი და შეფასებული,



მწერალი ნ. ნაკაშიძე.

რომ ასე მგონია, ყველაფერი გუშინ მოხდა და არა ათი წლის წინათ. მახსოვს პირველი ნომრისათვის სარედაქციო კოლეგიის სხდომა, სადაც წარმოდგენილი იყო მხატვრებისაგან რამდენიმე ნახატი ყდისათვის. კოლეგიამ დაამტკიცა ო. შმერლინგის ნახატი.

ჩვენ გვინდოდა ჟურნალისათვის მიგვეცა არა კუბულის ხასიათი, როგორც მანამდის ჰქონდა ჟურნალებს, არამედ ნამდვილი ჟურნალის სახე, ვაგვეშუქებოდა თანამედროვე საკითხები, შინაური და უცხოეთის მუშათა მოძრაობა, პოლიტიკური მდგომარეობა შინაური და უცხოეთის სკოლისა, ბავშვთა მოძრაობისა და ცხოვრების საკითხები და სხვა, რაც ბავშვებისათვის გასაგები და მახლობელი იქნებოდა და რამდენადაც ვახერხებდით ვახორციელებდით კიდევაც ამ საკითხებს. „წითელი სხივი“ გამოდიოდა 1926 წ. პირველ ოქტომბრამდის და ის იყო „პიონერის“ წინამორბედი. 1926 წ. ოქტომბერში გადაწყდა ოქტომბრის დღესასწაულისა და პიონერთა რიცხვის

კოლოსალური ზრდის პატივსაცემად პიონერულ ჟურნალს „წითელ სხივს“ გამოეცვალა სახელი, და დაერქვა „პიონერი“.


პიონერის პასუხისმგებელ მდივანად მოწვეული იქნა ამხ. შალვა რადიანი. მშრომელი, ბეჯითი, ლიტერატურისათვის თავდადებული ახალგაზრდა.

ენის სისუფთავეს, სტილს როგორც ჟურნალებში, ისე ყველა საბავშვო წიგნებშიც 1923 წლიდან იცავდა ამხ. შალვა თაბუკაშვილი. ბევრი რამის თქმა მინდა აქ, მაგრამ წერილის ზომა არ მაძლევს შესაძლებლობას. ვფიქრობ დაუფწერო ახალგაზრდობას, თუ როგორ გაუღიმა მათ ბედმა და წილად

არგუნათ ასეთი დღე, როგორც არა თუ მის წინა თაობას, არამედ არასოდეს და არავის არცერთ ქვეყანაში არ ჰქონია.

ჟურნალ „პიონერის“ შესახებ მინდა განსაკუთრებით ვთქვა, რომ მას დიდი სამსახური მიუძღვის ახალი სკოლისა და პიონერბავშვთა წინაშე. ის კიდევ უფრო უსაყვარლესი შეიქნება ჩვენი ბავშვებისათვის. ამის თავდება ის იდეური ახალგაზრდობა, რომელიც ხელმძღვანელობს „პიონერს“, ამის თავდება „პიონერის“ ხარისხის გაუმჯობესება უკანასკნელ წელს და მის ირგვლივ საუკეთესო მწერლების შემოკრება.

ნ. ნაკაშიძე



მარკ ტვენ — „ტომ სოიერის თავგადასავალი“. მხატვ. ვლ. ახვლედიანი.

კეთილშობილად დებულებს, მილოცვებს, წყალობებს, მოგონებებს „პიონერის“ არსებობის 10 წლის თავზე და თვალწინ მეშლება მწერლების, მასწავლებლების, მშობლების და მთელი საბჭოთა მოწინავე კულტურული საზოგადოებრიობის უსივრცეო ზღვა. ეს ზღვა რომ დელავს, მასში ახალი თაობის ლენინური აღზრდისათვის უფრო გაძლიერებული ბრძოლის წყურვილი მოჩანს. ჩვენ ისეთ დროში ვართ, რომ თვლითითქო შეეჩვია ისტორიაში არსებულ და არგაგონილ მიღწევების აღქმას და გაკვირვებისგან აღარ ვიბნევით, თორემ გადახედვთ ჩვენს ცხოვრებას ამ თხუთმეტოდეოციოდე წლის წინათ, რომ თავი არაჩვეულებრივ გაკვირვებასა და სიხარულში ივრძნოთ. მემამულეთა უღლის ქვეშ გაძვალტყავებული და შიმშილისაგან ღონემიხდილი გლეხობა სულს ღაფავდა, მუშები ძალღონის უკანასკნელ შესაძლებლობას ბურჟუა-მექარხნეების ჯიბეების გასასქელებლად დაზვებთან კლიდენ. მთელი მოსახლეობა სიბნელის ჩადრით იყო დათალხული, ღრეობდენ სოფლად თავადები, მუქთახარები, ღრეობდენ ქალაქის ოქროვერცხოვან სასახლეებში ღიბგაბერილი ბურჟუები და მათი ლაქია მთავრობის დამქაშები. სად იყო სინათლე, სად?! აი ამ შავბნელი ცხოვრების ნგრევისათვის ბრძოლის ორგანიზატორი გახდა ჩვენი უძლეველი პარტია და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადები — დიდი ლენინი და დიდი სტალინი. თებერვლის რევოლუციამ რომ საქართველოს მშრომელებს უარესი შავი დღე დაუყენა, ეს საქვეყნოდ ცნობილი ამბავია, და მენშევიკების უბადრუკი მართველობის სისხლიანი დღეების დასასრულსაც მოვესწართ. დედამიწის  $\frac{1}{6}$ -ზე რომ სოციალიზმი შენდება და მისი გამარჯვება

რომ ურყევი ქემშარიტებაა, ეს საბოლოოდ დამტკიცდა სინამდვილით. კინოლენტივით მიბწკარებიან ახალ-ახალ გამარჯვებათა მიჩვენებლები. წიგნმა, ჟურნალმა, გაზეთმა, კინომ და რადიომ მოგვცა სოციალისტური მშენებლობის ყოველი კუნტული და დღეს რომ ჩვენს საყვარელ „პიონერს“ იუბილეს ვუხდით, ეს საბჭოთა კულტურული მშენებლობის ზეიმია. „პიონერი“, ოციათასობით მუშა და კოლმეურნე ბავშვთა საკუთარი ჟურნალი, დღითიდღე იზრდება. „პიონერამდე“ გასაბჭოების პირველ წლებში „წითელი სხივი“ იყო, ხოლო მენშევიკებისა და მეფისდროინდელ წლებში — „ნაკადული“. ნაკადულის ტირაჟი ასეულებს არ ასცილებია, „პიონერის“ კი 1924 წელს 1200 იყო, 1927 წელს 2000, 1931 წელს 4200, 1934 წ. კი — 20.000. ეს ციფრები თვითონ ლაპარაკობს იმ უდიდეს კულტურულ ზრდაზე, რომელსაც ჩვენი „პიონერის“ მკითხველი განიცდის. ოციათასი ბავშვი ელის ყოველთვიურად „პიონერს“ და მოდი და მასზე ნუ იზრუნებ განსაკუთრებით! ვზრუნავთ კიდევცა და ჩვენთან არიან მწერლები, მხატვრები, მასწავლებლები და ასიათასობით ბავშვები, ჩვენთანაა მთელი საბჭოთა საქართველოს კულტურული საზოგადოებრიობა. „პიონერი“ იზრდება და მტკიცდება ყოველწლიურად, ყოველთვიურად. ახლა მე მხვდა წილად მისი რედაქტორობა და განსაკუთრებით მახარებს იუბილე. ჩემთან არიან ამხ. შ. რადიანი, ალ. მაშაშვილი, ა. სულავა, ვ. ლუარსამიძე კ. მელოძე — ვასული წლების „პიონერის“ რედაქტორები, და ჩვენი სიხარულის გრძობა არაჩვეულებრივად ძლიერია.

ა. რეხვიაშვილი

# მხურვალე საღამო „პიონერს“

ჟურნალ „პიონერის“ ათი წელი—უსათუოდ მთელი ჩვენი საბავშვო ლიტერატურის დღესასწაულია. ვინ მოთვლის, რამდენი ბავშვისათვის გაუნათებია გონება, რამდენი ბავშვი გაუხარებია და აღუფთოვანებია ამ ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილ ამბებს—მუშათა კლასის წარსული რევოლუციური ბრძოლის თავგადასავლის ისტორიას, სოციალისტური მშენებლობის გმირულ ამბებს, ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანების ცხოვრებისა და მუშაობის მაგალითებს.

ვინ მოთვლის, რამდენი რამ აქვს მოსათხოვრობი ამ ჟურნალს ჩვენი ნორჩი სოციალისტური თაობისათვის, და ისიც წლიდან წლამდის ფურცლავს ამ მშვენიერ მგზნებურ ამბებს.

ამ მხრივ ჟურნალი „პიონერი“ ახალი თაობის სოციალისტური აღზრდის ორგანიზატორია. დედის რძესავით მახსოვს ჩემი ბავშობიდან ჟურნ. „ნაკადულიდან“ ვაჟა-ფშა-

ველას, ირ. ევლოშვილის, შ. მღვიმელის და სხვა მწერლების ლექსები და პოემები. სიყრმის ლექსებში აღბეჭდილი განწყობილებები დიდხანს არ ქრება ადამიანის გონებიდან. ამიტომ ჟურნალ „პიონერისა“ და მისი ირგვლივ შემოკრებილ მწერლებისა და ჟურნალისტების ვალია აღბეჭდონ ჩვენი თაობის გონებაში ისეთი რამ, რაც ხელს შეუწყობს ახალი სოციალისტური ადამიანის აღზრდას და დავაჟაცებას.

ჩემთვის მუდამ საამაყო იქნება ის ფაქტი, რომ ამ ჟურნალის არსებობის პირველ წლებში მეც ვიყავი მისი რედაქტორი. ვთხოვდი და „ვაწერინებდი“ ლექსებს და მოთხოვრებებს ჩვენი დროის პოეტებს—ა. მაშაშვილს, კ. ლორთქიფანიძეს, კ. კალაძეს და სხვებს. ახალი თაობის აღზრდის საქმე არ არის პატარა საქმე.

ვუსურვებ „პიონერს“ და მის ხელძღვანელებს მეტ მიღწევებსა და წინსვლას.

ალექსანდრე სულაგა

## ჟურნალ „პიონერის“ 10 წ. იუბილეს გამო

### ბავშვებს უნდათ მუსიკა

ბავშვის მუსიკალურ აღზრდას დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს. ამ საქმით მე უაღრესად დაინტერესებული ვარ, რომ შევქმნა მაღალხარისხიანი საბავშვო მუსიკალური ნაწარმოები.

მე 1923 წლიდან ვმუშაობ საბავშვო ჟურნალებში.

1927 წელს დაიბეჭდა ჩემი „საბავშვო სიმღერების კრებული“, რომელიც მიღებულია სკოლაში სახმარ სახელმძღვანელოდ.

დაბეჭდილია და მალე გამოვა ჩემი „მოდის ქარხანა“—საბავშვო მუსიკალური

სურათი სიმღერათ და რითმული თამაშით.

აგრეთვე მაქვს მთელი რიგი საბავშვო სიმღერები და მუსიკალური გამოცანები, რომელიც მოთავსებულია საბავშვო ჟურნალებში: „პიონერსა“ და „ოქტომბრელში“. ჩემი მიზანია, რომ კიდევ უფრო ფართოდ გავშალო საბავშვო მუსიკალურ დარგში მუშაობა და „პიონერის“ მეორე ათი წლის თავზე ჩვენს ბავშვებს ექნეს მრავალი მაღალხარისხიანი მუსიკალური ნაწარმოები.

ამ დარგში მამუშაებებს მე მხოლოდ ბავშვების ღრმა სიყვარული და მათი დიდი მოთხოვნილება მუსიკის დარგში.

თამარ შავერზაშვილი



დრამატურგი ს. მთვარაძე

## ჟურნალ „პიონერს“

ჟურნალ „პიონერის“ ათი წლის იუბილე მაჩვენებელია იმ დიდი უკრადლებისა, რომელიც ექცევა სოციალიზმის ქვეყანაში საბავშვო მწერლობას. ჩემი ღრმა რწმენით, არ არსებობს ისეთი საპატიო დავალება მწერლისათვის, როგორცაა მომავალი თაობის აღზრდის საქმე და მათი გულუბრყვილო, ნორჩი გრძობების და გატაცების სამსახური. მოზარდ მაყურებელთა თეატრი და ჟურნალი „პიონერი“ ორი დიდძალი ძეგლია, რომელნიც ერთსა და იმავე დიდ მიზანს ემსახურებიან: აღზარდონ მომავალი თაობა კომუნისტურად. თუ ბოლო ხანებში თეატრში ვმუშაობ, დასაწყისი მაინც ჟურნალ „პიონერში“ იყო, და ორგანვე ერთგვარი სიამაყის გრძობით ვხარჯავდი ჩემს შესაძლებელ უნარს მწერლობაში: ამ სიამაყეს შობდა ის დიდი მოქალაქობრივი შეგნება, რომელიც მწე-

რალს სიხარულის ტკბილი გრძობით ავალღებს ემსახუროს ჩვენი სოციალური მოსჯერ გაუფურჩქნელ ყვავილებს.

სოციალისტური ეპოქა ამ მიმართულებით ბევრს გვავალებს ჩვენ, მწერლებს, და ეს მოვალეობა მომავალში გაასკეცბული ენერგიით უნდა იქნეს განაღდებული.

ამ ათი წლის განმავლობაში ჟურნალი „პიონერი“ არაოდეს ძირს არ უშვებდა შრომა - ბრძოლის სასიქადულო დროშას და შემდგომ ათეულ წლებში უფრო მეტი წარმატების კოცონს დაანთებს!

აღვზნებული სალამი იუბილიარს!

ს. მთვარაძე

## სალამი „პიონერს“

თურქული საყმაწვილო ჟურნალი „ენიკუვე“ მსურვალე სალამს უძღვნის ქართულ ჟურნალ „პიონერის“ რედაქციას, თანამშრომლებსა და მკითხველებს ამ ჟურნალის ათი წლის თავთან დაკავშირებით.

ამ ათი წლის განმავლობაში ჟურნალი „პიონერი“ მედგრად იბრძოდა საბჭოთაი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის და მათგან ჰედდა სოციალიზმის მშენებლებს, მუშათა კლასისა და მისი დიდი პარტიის ერთგულებს.

ამ ათი წლის მანძილზე ჟურ. „პიონერს“ გრანდიოზული მიღწევები აქვს კულტურის ფრონტზე ბრძოლის დარგში, მან შემოიკრიბა ათიათასობით პიონერები, რომელნიც ბოლშევიკური პარტიისა და მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამახებისათნავე მხალ არიან უპასუზონ: „მხადვართ“!

„ენიკუვე“ ღრმად არის დარწმუნებული, რომ ჟურ. „პიონერი“ კვლავაც მალა დაიჭერს სოციალისტური რევოლუციის დიად დროშას, მუშათა კლასის დიად მასწავლებელ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დროშას.

„ენიკუვე“



ეს გაშლილი მწვანე ქუჩა  
 კეთილშობილ განცდებს გვაძლევს,  
 თვალიც ხარბად ეწაფება  
 შენობების გასწვრივ ნაძვებს.  
 იერიში მიაქვთ ცისკენ  
 ახალგაზრდა ლამაზ ქადრებს.  
 ამ ქაბუკებს ღამით სძინავთ,  
 იღვიძებენ დილით ადრე.  
 მაშინ ყველა სათითაოდ,  
 მკლავგაშლილი ხვდება მნათობს.  
 იქერს შუქს და თანვე ცდილობს  
 მზის პატრონი იყოს მარტო.  
 კენწეროებს დაარხევენ,  
 დაიწყებენ ერთად შრიალს,

იმღერებენ და ტოტებზე  
 სათითაოდ კვირტს გაშლიან.  
 დაჩრდილავენ ქუჩის ხავერდს,  
 ბალახებით მჭიდროდ ნაქსოვს...  
 კარგებია ეს ქადრები,  
 მე ბავშვობა მათი მახსოვს:  
 სხეულს ძლივსლა იმაგრებდენ  
 გიჟი ქარი როცა ქროდა,  
 პატარები იყვნენ ძლიერ  
 და ფოთლებიც ცოტა ჰქონდათ.  
 დიდი უბნის დიდ ხმაურში  
 ძლივს ვამჩნევდით,  
 იღვენ ყუჩად...



როგორ მალე გაიზარდნენ,  
დაგვიმშვენეს ფართო ქუჩა!  
აღაგ უცხო ბუჩქებია  
ზაფხულის თუ ზამთრის გამძლე.  
ამ გარემოს ამ ქალაქში  
ხეივანის ფერი აძევს.  
მოდით, დატკბით...  
აქ ყოველთვის  
საამოა ფიქრი, გავლა,  
ტოტებიდან ბელურების  
გადაფრენა, გადამალვა,  
ვუთხრათ რამე კაცის შრომას,  
ერთმანეთს... და თუნდაც ჰადრებს,  
დღეს რომლებიც მზის ამოსვლის  
მოლოდინით დაიტანჯნენ.  
გავაყოლოთ თვალი ასფალტს  
ბეტონივით მკვრივს და გამძლეს...  
ეს გაშლილი მწვანე ქუჩა  
კეთილშობილ განცდებს გვაძლევს!



გიორგი კაჭახიძე

პოეტი გ. კაჭახიძე

## ოქტომბრელის საღამო



პოეტი ლ. გვიგუქორი

მიიღე, კარგო ძმობილო,  
ნორჩ ოქტომბრელის საღამო!  
მუდამ ამაყად გეკვიროს  
პიონერული აღამი, —  
რომ ამშვენებდე ყოველთვის  
ჩვენს ღამაზ საქართველოსა...  
ვაშა შენს გავლილ ათ წელსა, —  
გმირულს და სსახელოსა!

ლადო გვიგუქორი



მკაბერიძე ბაბაშვილი

# ბავშვობის მოგონებები

რვა თუ ცხრა წლისა ვიყავი. ქალაქში ჩამომიყვანეს სასწავლებელში მისაბარებლად. მაშინ ტფილისში ქალთა ვიმნაზიები არ იყო. ქალთა აღსაზრდელად მარტო ორი სასწავლებელი იყო: ინსტიტუტი და „ზავედენიე“, სადაც ჩინოვნიკთა და თავად-აზნაურთა ქალები სახელმწიფო ხარჯით იზრდებოდნენ.

მამაჩემი დიდი ლიბერალი იყო, ვერ გამიმეტა დახურულ პანსიონში მისაბარებლად, სადაც წლის-წლობამდე ბავშვები ტუსადებივით დამწყვდეულები იყვნენ, და კერძო პანსიონში მომათავსა.

მადამ ფაერის პანსიონი მოთავსებული იყო სოლოლაკის საუკეთესო ქუჩაზე, სა-

უკეთესო დიდ სახლში, რომელიც ახლაც არსებობს და არ ჩამორჩება სოლოლაკზე გაშენებულ სასახლეებს.

მადამ ფაერმა ზემო სართულში მიგვიღო, სადაც გაგაკვირვა მშვენიერმა და კეკლუცმა მორთულობამ. იმისი კაბინეტი ხომ მეფურის სიმდიდრითა და ვასაოცარის გემოვნებით იყო მოწყობილი.

მე მთლად სოფლელი ტინგიცა ვიყავი, თავისუფლად აღზრდილი, ყოველ დისციპლინას მოკლებული. არ ვიცოდი რუსული ლაპარაკი. დაკარგულივით ვგრძნობდი თავს და პირდაღებული ვათვლიერებდი ამ მშვენიერ ოთახს: იატაკზე გაშლილ ძვირფას ხალსს, აქა-იქ მოწყობილ ნაკერ

მუთაქა - ბალიშებს და დიდრონ-დიდრონ ხეებს, რომელიც ოთახის კუთხეებში იყო მოთავსებული და მაღალ ქერში ჩამოკიდებულ ბროლის ხომლის ვარშემო მწვანე თალსა ჰკრავდენ.

გამგემ გულახდილად ზაგვილო, ალერსითა და დიდის ზრდილობით ელაპარაკებოდა მამაჩემს და არწმუნებდა, რომ იმისი ხეობე გოგონა პანსიონში ისე იქნებოდა, როგორც თავის სახლში და აუარებელ კეთილშობილ ქალს შორის მექნებოდა გართობა და ვარჯიშობა, რომ ჩინებულნი მასწავლებელნი და აღმზრდელნი აწარმოებდნენ ჩემ სწავლას, და ათასი სხვა დაპირება...


მამაჩემი აღტაცებული იყო ამ მომხიბლავი დედაკაცით, მოწიწებით გადაიხადა ხვედრი ფული და წავიდა. მე ის იყო ტირილი უნდა მომერთო, რომ მადამმა ხარი ჩამოკრა და საჩქაროდ შემოსულ მორთულ მოახლეს ჩამაბარა. „წაიყვანე ეს ბაღლი და სულ ქვემო სართულში, პირველ ოთახში, პირველ განყოფილებაში ჩააბარე მადმაზელ ლუკინას. უთხარი, რომ მე ვუბრძანებ გამოსცადოს და თავისი ადგილი მიუჩინოს სადილზედაც და დორტუარშიც“.

რასაკვირველია, ამ ქალმა მე ზედაც არ შემომხედა და სარკეში იწყო თმების გასწორება.

მოახლემ ხელი მომიკიდა და საჩქაროდ გამაქანა. სულ ბრავა-ბრუვით ჩავირბინეთ მიკიბულ-მოკიბული სამი სართულის კიბე და ერთ დიდ და ნახევრად ბნელ ოთახში წარმადგინა ქალბატონ ლუკინასთან.

ოჰ! ეს ლუკინა! თავის დღეში არ დაზავიწყდება იმისი სახელი და ახმახი ტანი, შავი გამხმარი პირისახე, რომელზედაც სხვი კანი თითბრის ქვაბივით პრიალებდა და შავი, პაწაწინა თვალები, რომელნიც ადამიანთა სიძულვილით ეღვარებდნენ.

პირქუსად შემომხედა, ამათვალიერ-ჩა-



ქალბატონი ლუკინა

მათვალიერა და უგულოდ მკითხა: „რუსული ლაპარაკი იცი? წერა-კითხვა?“


— წერა-კითხვა по картвельски знаю, — მივუგე მე შემეკრთალმა.

— По картвельски что такое! Я спрашиваю по русски! — სიბრაზით შეჰყვირა მან და დამიწყო გასწორება, რადგან მობუხული ვიყავი და ბუსავით გამოვიყურებოდი.

— ხელები ძირს დაუშვი, თავი მაღლა ასწიე და მკაფიოდ მიბასუხე:

— წიგნები გაქვს, რვეული, დაფა, გრიფელი?

— არა, მიყიდიან, მომიტანენ....



— ოჰ! Невежество, невежество туземное! — კვლავ შეჰყვირა ლუკინამ და დაჯდომის ნება მომცა და ჩემ გვერდით მოწაფეს ბრიყვულად გამოსტაცა წიგნი და წინ დამიდო. მე მეტად აღელვებული ვიყავი, შემკრთალი, რომ ის მცირე ცოდნა, რომელიც შინაურობაში მქონდა მიღებული, თავისუფლად გამოამეტქვა, და კვლავ გამოვიწვიე ცოდვიანი მასწავლებლის ღრენა და მასხარად ავღება. მეტადრე იმისი დამცინავი სიცილი მიღელვებდა გულს და გადავწყვიტე ხმა აღარ ამომელო. მაშინ

ის მიუბრუნდა ჩემი გვერდით მჯდომ პატარა გოგონას ფრანგული ენის გაკვეთის სახელმძღვანელოდ და ჩემი ჯავრი იმაზე ამოიყარა: — იუ, იუ, თქვი! — ჩასძახოდა სასტიკად, ჩემსავით, სოფლიდან ჩამოსულ ქართველს, თუ სომხის ბაღლს. ბაღლი კი ვერ მიმხვდარიყო, რა განსხვავება იყო იუ-სა და მარტო უ-ს გამოთქმაში და კვლავ თავისებურად იმეორებდა.

— იუ, იუ! — ყვიროდა მასწავლებელი, ბაღლი კი ვერ ახერხებდა, არ ესმოდა, ვერ შეეგნო იუ ფრანგული რბილად გამოსათქმელი ასოა და კვლავ უ, უ-ს ამბობდა.

სიბრაზით გონებადაკარგულმა ლუკინამ ბავშვს სტრიქონზე დადებულ თითზე რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჩაჰკრა წვერწათლილი გრიფელი. გოგონას სისხლის ნაკადი წასკდა, აღრიაღდა, ჩვენც ყველანი სისხლის დანახვაზე ავტირდით. გაშმაგებული პედაგოგი ახლა კი შეკრთა, ფაცაფუცი დაიწყო, დასჯილ ბავშვს თავზე ხელს უსვამდა, ამშვიდებდა, შემდეგ შესახვევის მოსატანად გაეშურა. ჯერ კარებში არ იყო გასული, რომ ერთმა მოწაფემ მიადახა: ვუ ზეთ ქოშონ\*) (პირველი სიტყვა, რომელსაც სკოლაში შესვლის დროს სწავლობდა მოწაფე). ამ დროს ჩვენ ყველანი სიცილმა შეგვიპყრო.

ლუკინა გააფთრებული შემობრუნდა და გამოძიება დაიწყო, თუ ვინ გაბედა და ვინ აკადრა მას უშვერი სიტყვა. ყველანი ჩუმად იყვნენ. მაშინ მე მომიბრუნდა და დაჟინებით შემეკითხა: თქვი, თქვი მართალი, ვინ გაბედა, ვინ მაკადრა ვალანძღვა?

და მეც იმ აზრით, რომ მასწავლებლის გული მომეხიდა, ხელი დავადე მთქმელს.

დატრიალდა ჯარა, აირია მონასტერი. ლუკინამ გამოათრია დამნაშავე შუა ოთახში

\*) შე ღორო!

დამთელი თავისი ძალღონით შეანჯღრია და მთელი ღვთის რისხვა, წყევლა, კრულვა და სიბრაზის დორბლები ზედ მიაყარა.

საჩქაროდ შემოკვივდნენ სხვა მასწავლებლებიც და ლუკინასთან ერთად შეადგინეს დამნაშავეის დასასჯელი გადაწყვეტილება. სწავლა ყველგან შეწყდა. პატარა ხნის შემდეგ სადილობის ზარმა დაიწკრიალა. ამ დროს დამნაშავე პატარა არსება უკვე დასჯილი იყო მით, რომ თავზე შაქრის ლურჯი ქაღალდის კასრივით მაღალი ქუდი ჩამოაცვეს და ზედ თეთრ ქაღალდზე დაწერილი ბილეთი მიაკრეს: „მასწავლებლის შეურაცხყოფელი“. აუარებელ მოწათეთა წყვილწყვილად მიმავალ რაზმებს წინ წაუძღვარეს. საშინელი სიჩუმე იყო. თითქო ყველა გრძნობდა ამ პროცესიის სიმუხლეს და თავჩაღუნულები მიდიოდნენ სასადილოსაკენ. სასადილო დიდი და განიერი იყო. სიგრძეზე ოთხი გრძელი მაგიდა იდგა, სუფრა გაშლილი იყო, და ყოველი განყოფილება თავთავის ადგილზე მოეწყო. დასჯილი ავაზაკი კი უკანა კედელს მიაყუდეს და წინ საჯდომ სკამზე მარტო პური და წყალი დაუდგეს.

სასადილოში საშინელი სიჩუმე იყო გამეფებული და ვერავინ ბედავდა ხელი მიეყო ჭამისათვის. ყველანი მისჩერებოდნენ დასჯილს, რომელიც, ბევრი ტირილით დაოსებულო, სლოკინებდა და გულზე ხელებდაკრეფილი და თავჩაქინდრული ნამდვილ განწირულივით მოჩანდა.

უცებ სლოკინიც შეწყდა, დასჯილი პავში ნელ-ნელა დაიხარა და იატაკზე გაიხლართა გულშემოყრილი. დაცემის დროს მაგიდის ბოლოს ხელი წაჰკრა და თითზე სისხლის ზოლი გამოჩნდა.

კვლავ აირია მონასტერი, ბევრ მოწათეს ისტერიკა აუფარდა, ბევრმა ქვითინი მორთო. საჩქაროდ გამოცხადდა ფაერი და გულშეწუხებული ბავში საწოლ ოთახში.

მოსამსახურებმა ხელში აყვანილი მკვდრის ვით გაასვენეს.

თუმცა მე კარგად არ მესმოდა ჩემი დანაშაულის სისაზიზღრე, მაინც რაღაც თავზარი დამცა სასადილოში მომხდარმა სცენამ და სადღაც ამ უშველებელ სახლის კუთხეში მივიმალე. მეგონა მთელი პანსიონი დამგობდა, პირში შემომათურთხებდა და პირზე ხელებათარებული ვგმინავდი.

უცებ ვიღაც მომიახლოვდა, ოდნავ თავზე ხელი დამადო და დედაშვილურის ტკბილის ნუგეშით მითხრა:

— ტირი, პატარავ! იტირე, იტირე! ცრემლით გადარეცხილი დანაშაული უკვე განახევრებულია და მეორე ნახევარი ამოივლიჯე სამუდამოდ შენი გულიდან. დაბეზლება და ღალატი ყოველ დანაშაულზე უდიდესი დანაშაულია!

ეს სიტყვები ისეთი წმინდა გულით, ისეთი სისუფთავით და ნუგეშისცემით იყო ნათქვამი, რომ ჩემმა სულმა იგრძნო მათი მნიშვნელობა. უარესი ქვითინით, მაგრამ უკვე განბანილი ცოდვისაგან, გულზე მივეკარ უცნობ ქალს; უსიტყვოდ მიმიხვდა ისიც, რომ ნათქვამმა მისმა მიზანს მიაღწია. მომხვია მაგრად ხელები და წამიყვანა იქ, სადაც პატარა ჩემი დაბეზლებული ამხანაგი იწვა სუფთა ლოგინზე სრულიად სადი და მოლიმარი. ქალმა მითხრა: ახლა აკოცეთ ერთმანეთს და სამუდამოდ დაივიწყეთ ის, რაც შავ ჩრდილს აყენებდა თქვენს სიბალღეს, მარტო სიმართლეს და პატიოსნებას ემსახურეთო.

მარტო ახლა შევხედე ჩემ ნუგეშისმცემელ ქალბატონს, იმისი სახე ჩემი ცხოვრების წინამძღოლად გულში ჩავისახე და გავიფიქრე: რა იქნებოდა ქვეყანა მაშინ, რომ ლუკინებიც ასეთი ყოფილიყვნენ!!

ეკატერინე გაბაშვილი



# თოვლიანი ზილა სივდარ

თეთრი ფთილა ტყეს და ქედებს  
 თეთრი ფარჩით ბურავს,  
 ზეებს თეთრად ნახავერდებს  
 თეთრი ქუდი ხურავს.  
 აღარა ჩანს არსად მდელო,  
 ღობე, ყორე, სერი...  
 ზავშევებს დარჩათ ბურთი, ლელო,  
 ჰერი, ჰერი, ჰერი!  
 მშიერ ჩიტებს დაყურსულად  
 დაუშვიათ ფრთები,  
 დათვებივით დაკუზულან  
 თოვლიანი მთები.  
 ნაკადული აღარ ხელობს,



ბეთი ქალი მიმქრალი

ხევში რუც არ მდერის,  
 ბავშვებს დარჩათ ბურთი, ლელო,  
 ჰერი, ჰერი, ჰერი!  
 ქალი მოდის კოკით წყალზე,  
 გამოენთო ბუძვა,  
 მირბის, მისდევს ფეხის კვალზე,  
 თოვლის გუნდებს ბურძღავს.  
 მოუხედავს, გაუღიმებს  
 ეშხიანი ქალი,  
 გულზე შავი კაბის ღიღებს  
 აზის თეთრი ხალი.

— ეხ, შე ცელქო, ცუგრუნელავ,—  
 ახლა ქალიც მდერის,—  
 მაშ გამოდით ერთად ყველა,  
 ჰერი, ჰერი, ჰერი!  
 გუნდაობენ, გორაობენ,  
 უმკლავდება ქალი,  
 კოკა ხრამში გადაგორდა,  
 ვედარ ნახავს თვალი!  
 ბოლოს კოკა მოიკითხეს,  
 ყველგან ძებნეს ჰევრი...  
 თოვლმა ფეხი მოიკიდა,  
 ჰერი, ჰერი, ჰერი!

მიმქრალი

# ახსრენა ვაჩი ბებრენი



... და გაშიშვლებულ კლდეების გულში მოვსრიალებდი!

რა თავდავიწყებით, რა ალერსით მოვთამაშებდი 13 წლის ბიჭი! მალალი ველტყევის კონცხებიდან ვბრუნდებოდი შინ.

მზე ვერცხლის აბაზანივით გაგორდა აბიბინებულ ღრუბელში.

სახრესავით მოზნეკილი ბებიაჩემი ბუხართან იჯდა და ნაცარში ჩაყურსულ ფისუნას უჯავრდებოდა, ფისუნია კი ალერსიანად ხვრინავდა და რძით მოსვრილ ტუჩებს ნაკვერცხლებს უფიცებდა.

სიცხვე გაჯდა ძვალ-რბილში; უხარმაზარი თავკავი მე და ბიძაჩემმა ეზოში შემოვაკურეთ. ფეხებზე შეყინული თოვლი დავიბერტყე. ის იყო ცეცხლთან უნდა მივსულიყავ, რომ ჩვენი სოფლის ფოსტალიონმა ხრინწიანი ხმით დაიძახა. გავვარდი გარეთ, ხელში ჟურნალი მომაჩეჩა. ვხედავ: ლურჯი ასოებით წერია „პიონერი“. გამეხარდა, ეტყობა, ჩვენი რაზმის ხელმძღვანელს ფული თავისი ჯიბისათვის არ აუკრეფია.

— „პიონერი!“ — ბებიაჩემს რომ ვუთხარი, გაეცინა და თქვა: ეგ ლობიოს მარცვლებისათვის დასაფენად გამომადგებო.

ღამეც მოვიდა ჩუმი, წყნარი. მთის ნაპრალიდან ისმოდა ამჟღინებელი მგლეების ყმუილი...

ქრაქი ავანთეთ. ფერმკრთალ სინათლეზე მთელი ჟურნალი წავიკითხე — რამდენი რამ არ ეწერა შიგ!

ნეტავ, ჩვენი ფოსტალიონი ყოველთვის მოიტანს? როგორ არა. თუ არ მოიტანს, სოფლის კრებაზე გავაშავებთ. რა კარგი იქნება ამ ჟურნალში ჩვენი სოფლის ამბებიც იწერებოდეს! განა ამ მთებსა და უღელტეხილებში ჩვენი პიონერები ნაკლებად მუშაობდნენ? ლიზას დათუნია ნაკლები ბიჭია?

ეს ჟურნალი ხომ ჩვენია...

ქრაქის ახლოს ჩამძინებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ დავწერე ჩვენი დათუნის ცხოვრება და ალექსი ფოსტალიონს ხელში მივაჩეჩე.

როგორ ავლელი, როცა ჩემი მოთხრობა ძეწნების სოფელში მელტქნე სანდროს ქარისაგან შეღეწილ ფანჯრებზე გაეკრა. ზოგი კი ქონიან სუფრაზე დაედო. თურმე, ალექსი ფოსტალიონს მისთვის ქალღაღად მიუტანია ჩემი რვეული. რა გაეწყობოდა!

დავწერე „რადიო“. ჩვენი მდგომარეობა ვაგმალე, მოვყევევი რადიოსვეტების დადგმიდან, შევეხე ბატარეების მუშაობას და იმას, თუ რა შური იძია სოფლის შავსივლმა ქვიშნარელმა, ჩვენ რომ რადიოთი რა-



ახალგაზრდა მწერალი აკაკი გოცირიძე

იონიდან მთელ სოფლებს ვაცნობეთ მის მიერ საქონლის განადგურება, ლაბეების განსნა და სხვა მავნებლობა. კულაკი თავისებურად ღრინავდა. ჩვენს ბიჭებს რომ ვერაფერი დააკლო, ღამით რადიოსვეტები გადაჭრა; ეს ამბავი მოთხრობით აღვწერე. საბჭოს თავმჯდომარემ რომ წაიკითხა, ხელი მაგიდაზე დაკრა: — ქვიშარელი უნდა გავასამართლოთ.

გასამართლეს, ტყავი გააძვრეს. ეს იყო ათი წლის წინათ, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩვენი სოფლის გლეხები საზღვრებზე ჩხუბობდნენ, ახლა კი ჩვენი უბნელები კოლმეურნეობაში არიან. ყველა ვენერგიულად მუშაობს. აღარავის აღარ აკლავ სიმინდი და ბური, ძროხებიც ბევრი ჰყავთ და ცუვრუმელა დღუტუნიებიც. მაშინ ერთი ჟურნალი მოგვივიდა, ახლა ჩვენ

მეზობელ თაღოს, ლაზარესა და სხვებს ვაზეთები აქეთ გამოწერილი. როგორც ბიჭები კი „პიონერს“ ყოველთვის ველობენ. ჩვენი პიონერები ახლაც ველტყვის მიდამოებს თავდადებული მებრძოლები არიან. დათუნია ტექნიკუმის მესამე კურსზეა.

კაკლების იქით რადიოს ანძები კვლავ ამჟამად არის აზიდული. გუშინწინ თუმცა მთელი დღე თოვდა, საღამოს 7 საათზე გაღვივებულ ბუხართან მთელი ჩვენი სოფლის გლეხები შეგროვდნენ. რადიომ დანადაკრულ ლორივით დაიხრიალა და გვაცნობა: „პიონერი ათი წლისაა“. მოხუცმა თადეოზმა ჩახხველა და დაუმატა: „არც ჩვენ ვართ ბებრუხანები, ჩვენც ნორჩები ვართ“.

გარეთ პეპლებივით ირეოდნენ სიფრიფანა ფანტელები....

ა. გოცირიძე

# ჩიტაკა და პიონერები

პირველად მხოლოდ ის უნდა აღვიარო, რომ წერა უაღრესად მიყვარს. წერა ისე მიყვარს, რომ არც კი შემიძლია დავასახელო სხვა რამ, რაც მას შეედრებოდეს.

მე იგი სკოლაშიდაც ძლიერ მიყვარდა. არასდროს წერაში ცუდი ნიშანი არ მქონია, ზეპირში კი მოვიკოჭლებდი. მასწავლებლები ხშირად მიჩვენდნენ, რომ მე გაკეთილის მოყოლის მაგიერ დამეწერა და ისე წამეკითხა. ჩემს წერის ხელოვნებას განსაკუთრებით მაშინ გამოვაჩენდი, როცა საწერი თემა თავისუფალი გეჰქონდა, ე. ი. რაც გვინდოდა, იმაზე დავწერდით. მახსოვს, სკოლაში თავისუფალი თემა მოგვცეს. ორ ღამეს ვიმუშავე. თემად ავიღე უბრალო ამბავი „მეთულუხჩე კამფეტია“.

ეს მეთულუხჩე დადიოდა ქუჩა-ქუჩა და წყალს უზიდავდა დიასახლისებს. ღამით საღდაც ნანგრევში ეძინა. კითხვის დროს მოწათეები გულმოდგინედ მისმენდნენ. ზარი

დაირეკა, და არავინ ზეზე არ ადგა. მომთხოვეს განგრძობა, და მეც განვაგრძე. მასწავლებელმაც მომიწონა. ამის შემდეგ შემთხვევას არ ვუშვებდი, რომ რაც მომეწონებოდა, იმაზე არ დამეწერა. ვაწარმოებდი დღიურსაც. მშობლებსა და ნათესავებს ვწერდი ვრცელ წერილებს.

როცა სოფლად ჩავიდოდი სახამთრო არდადეგებზე, ყველას ღია ჰქონდა ჩემთვის სკივრი და კალათები — ტკბილისკვერით, უნაბით, ჩურჩხელებით და ბროწეულებით ავსილი. ვაშლსა და მსხალს ხომ ვეღარ ვერეოდი.

ჩემი პირველი ჰონორარიც ეს იყო. ახლა მე მწერალი ვარ. ვეძებ ახალგაზრდობისათვის საინტერესო თემებს.

რა ვთქვა: წერა და კითხვა ისე მიყვარს, რომ უთქისოდ ავადმყოფობის დროსაც არ შემიძლია გაეძლო.

ბ. ჩხეიძე





# შემოდგომის ჰეროი

ახლა სოფელში ქარია,  
ზვინზე სისინებს ჩაღა,  
აგერ ეს ერთი ხანია  
მზეს დაეკარგა ძაღა.

ალარ მოისმის ყანიდან  
ხმაშეწყობილი მღერა,  
ეს შემოდგომაც წავიდა  
და აგუზგუზდა კერა.

ქარს სუსხი ჩამოჰყოლია  
მთიდან და დაქრის გარეთ,  
სცივათ ფისოს და ბროლიას,  
ვერ სცილდებიან კარებს.

გაშრა, გაცვიდა დღეები  
და შეიკუმშა თანაც,  
ტანაშოლტილი ხეები  
გაყვითლებულნი დგანან.

ქარი ხეს შტოებს უხრიდა,  
ვერ აყენებდა ზიანს,  
რკო ჩამოცვივდა მუხიდან  
და მის ტოტებ ქვეშ ყრია.

გახედავს ბიჭი სოფელელი  
(მას კოლმეფურნე ჰქვია),  
ვაზს გასცვენია ფოთლები  
და წაუღია ნიაფს.

მთებს ბამბა ჩამოსწოლია,  
ღრუბლებს მისწივის წერო,  
მალე შენც გნახავთ თოვლიანს,  
სოფლის პატარა სერო!

ახლა კი მხოლოდ ქარია,  
ზვინზე სისინებს ჩაღა,  
აგერ ეს ერთი ხანია  
მზეს დაეკარგა ძაღა.

გიორგი კალანდაძე

# სამართალი

მყუდრო საღამო იყო.

— დათიკო, ბიძია! უუუ!! — კიშკრის გაჭრიალებიანს მოისმა ძახილი. ბიჭები მივატოვე და იქით მოვკურცხლე.

ეს ჩვენი თეთრწვერა, მუდამ სათვალეებიანი „ტიტე ფოსტალიონი“ იყო. მთლად შეფუთვნილიყო და ჩაბალახიდან მოუჩანდა პირხმელი სახე.

— ჰა, ბიძიკო, ეს შენ!

და სქლად შეხვეული ამანათი გადმოძცა. „მადლობთ“ თქმაც-კი ვერ მოვასწარი, რომ უკვე ორღობეში მიიჩქაროდა. ბიჭებთან არ დავბრუნდი სათამაშოდ, კიბე ავირბინე და ოღაში ბუხართან გავხსენი ამანათი. ყველას აინტერესებდა რა იყო, პატარა დამ ტირილი აიტეხა, როდესაც წითელგარეკანიანი წიგნი დაინახა. როდი დავანებე: ჩემი საყვარელი ჟურნალი აღმოჩნდა, ზედ მსუქანი წითელი ასოებით ეწერა „პიონერი“, № 11-12.



ახალგაზრდა მწერალი დ. შამათავა

სასწრაფოდ გავხსენი, ძლიერ საინტერესო იყო. უეცრად თვალი მოვკარი, ჩემი ლექსის სათაური მეჩვენა და სწორედ ის გახლდა: „გულჩიორები“; არაფერი არ შევსწორებიათ, პირდაპირ დაებეჭდათ, ჩვენი პიონერბავშვის შესახებ რომ დაეწერე. ცას ვეწიე სიხარულით, არ ვიცოდი რას ჩავდიოდი! ყველას ვაჩვენე და წაუუკითხე. იმ დამეს მამლების ყვილის გახშირებამდე არ დამძინებია... ეს იყო პირველი ლექსი და პირველი სიხარული... ახლა მე უკვე დიდი ბიჭი ვარ... უკვე კომკავშირის მანდატიც მაქვს, ზედ №6883186 აწერია, ლენინიც ახატია პროფილით. მე ახლა სხვა ჟურნალ-გაზეთებშიაც ვწერ, მაგრამ მუდამ სიყვარულით მაგონდება ჩემი ბავშვობის პირველი სიხარული, ამჟამადაც რომ მახარებს მისი ყოველი მორიგი ნომერი.

ჩვენი კარგი ჟურნალი სულ ათ გაზაფხულს დაესწრო და ისე ნორჩია და ისე კარგი, როგორც მისი მკითხველი. ის კიდევ მრავალ გაზაფხულს დაესწრება და წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭების კარგი შესაიდუმლოე იქნება მომავალშიაც...

გაიფლის ჟამი... და შენც, პატარავ, ჩემსავით რომ ჯიბეში ლენინისურათიან კომკავშირულ მანდატს ჩაიდებ, გავეხარდება, გაიღიმებ და ზეთოდ სიყვარულით მოიგონებ სიყრმისა და სიხარულის კარგ ჟურნალს, რომელმაც შეგაყვარა წიგნი და შრომა.

დავ. შამათავა



მწერალი ს. ერთაწმინდელი

## ჩემი ბარათი „პიონერს“ 10 წლის თავზე

ო, „პიონერო“, მეგ შენს ფურცლებზე  
რამდენი ტრფობა დამირხევია!  
ამილესია კბილი მტრის ძვლებზე  
და უკან არსად დამიხევია!  
რამდენი ჩემი შემოქმედება  
რკინის სტრიქონებს გიძღვნიდა ღვარად!  
შენდამი ლტოლვის ცეცხლი მედება  
და სიყვარულით გიმღერი მარად!  
მე ვნახე შენი დავაეკაცება,  
ათწლიან ზეიმს რომ მართავ შვებით!  
ველარ დავფარე ეს აღტაცება  
და კვლავ შენივე ვკრი აღვირაშვებით!  
სადარაჯოზე დგახარ უცვლელი,  
ნორჩი თაობის მშვე მოკისკისე!  
მე, პიონერი ცხრაასხუთწლოელი,  
და შენი წინსვლა ვიქუხებთ ესე!  
ო, „პიონერო“ ათწლის მანძილზე,  
ერთად რამდენჯერ დაგვიმღერია!  
არ გვიფიქრია ბრძოლის დროს ძილზე  
და მტრისთვის დარტყმა აგვიღერია!

ს. ერთაწმინდელი

## სალამი „პიონერს“

გაზაფხულია.


ვზივარ წალკატში და სიამოვნებით  
დავცქერი მაისის ვარდის ბუჩქს. კვირტე-  
ბიდან ნაზი ღიმილი ცვივა და ცვრით  
შელამაზებულ მწვანე ხაფერდს უხვად  
ფინება.

ალიონის ზეფირით აღშფოთებული  
საუცხოვოდ მორთული ბუჩქის ფოთლები  
შრიალებენ.

სალამის პასუხად მზისკენ გადახრილ  
კვირტებს მარავანდელი ეალერსება და თით-  
ქოს ოდნავ გაუურჩქნულ მათ გულმკერდს  
ვამბორება.

ცვარი დნება, ორთქლდება მზის ამ  
ამბორისაგან.

გადაშლილმა ვარდის ფურცლებმა მეტად  
საამო, ტკბილი სურნელება მოჰფინა არეს.



სომეხი მწერალი მ. დარბინიანი



აღტაცებით დავცქერი მზისა და ვარდის  
 ამ ზღაპრულ ურთიერთ აღიერსს, სმენას ატ-  
 კობს ანკარა წყლის ჩუხჩუხი. თითქოს ზამ-  
 თრის ბორკილებიდან ახლად განთავისუფ-  
 ლებული, იგი გამარჯვებას დღესასწაულობს.

რა საუცხოვო პარმონიაა. მზე ოქროს  
 შარავანდედით, ანკარა წყალი და ვარდის  
 წითელი ფურცლები!

ამ საამო, წარმტაც ფიქრებში გართულს  
 შორიდან მომესმა სიმღერა.

ჩვენ ვართ მშრომელთა მცველნი,  
 ქვეყნის სახის შემცველნი.

მტკიცე, თამამი და გაბედული ნაბი-  
 ჯებით თართო შარავნით ძოვეშურებოდა  
 პიონერთა ბანაკი.

სახე აყვავილებული.

მათ თვლებში მზის ცეცხლი ელვავდა  
 გამარჯვებისა და თავისუფლების პიმნი  
 იყო მათი სიმღერა.

თვით დედამიწა ძრწოდა მათი მტკიცე  
 ნაბიჯების ქვეშ.

პიონერთა ბანაკი...

წინ, მუდამ წინ, მზად დიადი საქმი-  
 სათვის!

გამარჯვება პიონერებს, სალამი გამარჯვე-  
 ბულებს!

მხურვალე სალამი ჟურნალ „პიონერს“  
 ათი წლის თავზე, რომელიც პიონერთა  
 გამარჯვების მთავარი ორგანიზატორია!

მ. დარბინიანი

## ბ ე ბ ი ა ს მ უ რ ი ა

ბალებო, სმენა,  
 კიარა ხმაური;  
 თუ გსურთ მოლხენა,  
 დაშიგდეთ ყური.  
 თურმე ერთ მოხუცს,  
 ვინმე ბებიას,  
 ცხვირზე დასკუბულ  
 სათვალეზიანს,  
 არავინ ჰყავდა  
 მურიას გარდა,  
 სულ თან დაყავდა,  
 ისე უყვარდა.  
 ერთხელ ბაზარში  
 ამ ჩვენს ბებიას  
 ყასაბთან ხორცი  
 მოსწონებია;  
 ჩამოუხსნია,  
 შევაჭრებია,  
 მაგრამ მურიას  
 აღარ უცლია,

დაუტაცნია,  
 მოუკურცხლია.  
 მირბის მურია,  
 თან მისდევს ხალხი.  
 — დაიქით, დაჰკათ! —  
 ყველა მისძახის.  
 ის კი ერთ ქათამს  
 თავს გადაახტა  
 და აუტეხა შიშით კრიახი.  
 აგერ, ბაზარც  
 სულ დაირბინა,  
 ბატების გუნდი  
 ააყიყინა.  
 დაღლილ ქაქანით  
 მივარდა შინა  
 და დედაბერზე  
 ბევრი იღრინა,  
 დაკეტილი რომ  
 დაუხვდა ბინა.  
 ბოლოს ბებიაც

გაჩნდა ლახლახით,  
წარბებშეკრული,  
პრისხანე სახით.  
—აი, შე ქურდო!—  
წყრომით დაჰყვირა  
და უმაღ ჯოხი  
წამოუღირა.  
მაინც შესანსლა  
მურიამ ხორცი  
და დედაბერიც  
მოღბა ფოლორცი.  
ბუხართან მიმჯდარ  
დაღლილ ბებიას  
წინდის ქსოვაში  
წასძინებია.  
მურიაც იქვე  
დასკუბებია  
და ბაწრის გორგალს  
მისჩერებია.  
მან დიდხანს აღარ  
აცივა-ცხელა,  
თათი გამოჰკრა  
გორგალას ხელათ  
და საბურთაოდ  
გააგდო წინა,  
დედაბერს წინდა  
გააგდებინა,  
გამოაღვიძა,  
არ დააძინა.  
ერთხელაც, თურმე,  
ამ ჩვენს ბებიას,  
ცხვირზე დასკუბულ  
სათვალეზიანს,

ასეთი აზრი  
დაჰბადებია:  
— მოდი, ყელსაბამს  
ვეყიდი მურას,  
ყელსაბამს ლამაზს  
და ევენებიანს,  
ვერცხლის წკრიალა  
ზარის ხმებიანს.  
მართლაც უყიდა,  
შეაბა ყელზე;  
რეკავს და ცეკავს  
მურია ცერზე.  
შეცდა მოხუცი...  
დღისით თუ ღამით  
არ ეძინება  
არც ერთი წამით.  
და მურია კი  
ტრიალებს ცერზე  
და უჟღარუნებს  
ევენები ყელზე.  
ერთხელ როგორღაც  
წასთვლიმა ტკბილად,  
წამოგებარა  
მას კატა ფრთხილად,  
ისკუბა,  
თავზე დაახტა მკაცრად  
და მთელი სახე  
ჩამოაკაწრა.  
დღეს ჩვენს ბებიას  
თვითი მურია  
ავად ჰყავს,  
შალი წაუხურია.

გ ქუჩისშვილი

# ქართული საბავშვო ჟურნალების ისტორიისათვის.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ახალი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში ახალგაზრდობის და საბავშვო მალაქლირების ლიტერატურა უდიდეს როლს თამაშობს. ამიტომ ამ უკანასკნელს შექმნა-განვითარებას ჩვენი პარტია, ხელისუფლება და მთლიანად საბჭოთა ფართე საზოგადოებრივობა უდიდეს ყურადღებას აქცევს და განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობა.

საბავშვო ლიტერატურის ერთ ორგანიულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საბავშვო ჟურნალისტიკა. საბავშვო ჟურნალის უდადეხი სააღმზრდელო, ლიტერატურული, პოლიტიკური მნიშვნელობა ყოველთვის იპყრობდა ამა თუ იმ დროს სახელმწიფოებრივ ხელისუფალთა ყურადღებას.

მეფის დროიდანვე საქართველოში 1883 წლის დეკემბერში გამოვიდა პირველი საბავშვო ჟურნალი „ნობათი“, 1890 წელს, როცა „ნობათი“ ხუთი წლის შეწყვეტილი იყო, გამოვიდა მეორე ჟურნალი „ჯეჯილი“, ხოლო 1904 წლიდან ჟურნალი „ნაკადული“. და ყველა ეს ზემოდ ჩამოთვლილი ჟურნალები მუშაობდნენ მეფის ხელისუფლების მძაფრ ცენზურის ქვეშ. ამ ჟურნალების ირველივე ქვევით გვექნება ლაპარაკი, მხოლოდ აქ უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკურ მთავრობის ბატონობის წლებში ქართულმა ჟურნალებმა სრულიად დაჰკარგეს თავიანთი ლიტერატურული პირდაპირი დანიშნულების სახე.

მოისპო მენშევიკების ბატონობა. საქართველოს მშრომელებმა დაამყარეს ძლევაპოსილი საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით გაჩაღდა სოციალიზმის აშენებისათვის გამარული ბრძოლა.

გასაბჭოების პირველ 2-3 წელს „ჯეჯილს“ არ განუცდია სოციალისტური გარდატეხა და იგი კვლავ რევოლუციის წინანდროინდელ ტრადიციებს შერჩა. 1923 წლის ბოლოს დაიწყო გარდატეხა „ჯეჯილის“ მუშაობაში და 1924 წ-დან იგი შეიცვალა: „წითელი სხივით“.

„წითელი სხივი“—ეს „პიონერის“ პირველი ნომრებია და დასაწყისი საქართველოში პოლმევიკური საბავშვო ჟურნალისტიკის განვითარებისა.

1925 წლიდან მოყოლებული ახალი თაობის საკუთარმა ჟურნალმა „პიონერმა“ მართლაც რომ უდიდესი მომსახურეობა გაუწია ამ ათი წლის მანძილზე საქართველოს ბუნა და კოლმეურნე მშრომელ ახალთაობას.

„პიონერში“ მოჩანდა ჩვენი ახალი საბჭოთა სკოლის ცხოვრება, პიონერ-ორგანიზაციების სახე, ინტერნაციონალური აღზრდისათვის გამართული ბრძოლა, სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალი თაობის როლი, ბრძოლა ბავშვებისათვის შალახარისხოვანი მხატვრული ნაწარმოებთა შექმნისათვის და სხვა.

„პიონერი“ საბოლოო ანგარიშით გაშლილ ბრძოლას აწარმოებდა ჩვენი ახალი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის.

„პიონერის“ მიერ ამ 10 წლის გასწვრივ ჩატარებული მუშაობის აღსანიშნავად და მისი მუშაობის შემდეგში კიდევ მეტად გაუმჯობესებისათვის ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინეს.

მათი დადგენილებით მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვლის თვეებში უნდა ჩატარდეს „პიონერის“ 10 წლის არსებობის იუბილე.

ეს იუბილე უნდა გადაიქცეს უდიდეს ზეიმად ჩვენი სკოლების და იქ მოსწავლე ახალგაზრდობისა. ამ ზეიმს სათავეში უნდა ჩაუდგნენ განათლებისა და კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები, პიონერ მომუშავენი და განსაკუთრებით ჩვენი მასწავლებლები.

ეს ბროშურა იბეჭდება როგორც დამხმარე მასალა მომსენებელთათვის „პიონერის“ იუბილეს ირველივ და იგი ძირითადად მოიცავს იუბილესთან დაკავშირებულ ყველა უბნებს.

საქართველოს მშრომელები და განსაკუთრებით ახალი თაობა ამჟამად იხდის იუბილეს თავის საკუთარი ჟურნალ „პიონერისას“.

„პიონერმა“ ღირსეულად დაიმსახურა ეს იუბილე და წინამდებარე ისტორიული ნარკვევიც მიძღვნილია ამ იუბილესა და საერთოდ ქართული საბავშვო ჟურნალების ისტორიისადმი.

საქართველოში 1883 წლის დეკემბერში გამოვიდა ე. წ. სანიმუშო 64 გვერდიანი პირველი საბავშვო ჟურნალი: „ნობათი“ ანდრია ლუ ლაძის რედაქტორობით.

ამ სანიმუშო ნომრის სათაური: „ნობათი“ — ვარდის ფოთლების სახითაა გამოყვანილი, ჟურნლის მტევნებამოკიდებული მარცხენა მხრივ. დაბლა აოვლიანი გორაკები და კოშკებია. ეს ყდა და ასომთავრულები, რომელითაც თითოეული მოთხრობა-ლექსის პირველი ასო იწყება, ამოჭრილია შესანიშნავი ილუსტრატორის გ. ტატიშვილის მიერ.

ანდრია ლუ ლაძემ თავიდანვე გარკვეული გეზი აიღო ჟურნალისათვის: „ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ ოჯახს შთამომავალთა სასიკეთოდ; ამისათვის მთელი ჩვენი ყურადღება და ძალა ამაზედ იქნება მიქცეული. რომ ჟურნალი „ნობათი“ მომავალშიაც სასარგებლო და ამით საყვარელი საკითხავი წიგნი იქმნეს ქართველობის იმ ოჯახებში, სადაც თავის მამულის საკეთილდღეოდ დედაბოძად ზნეობრივი და ბუნებითი აღზრდა აქვთ საშუალებათ“ („ნობათი“ № 1 1885.)

და „ნობათს“ ამ გეზისათვის არ უღალატნია.

„ნობათის“, ნომ რებში პირველად მოთავსდა ჩვენი საბავშვო მწერლების ის მოთხრობები და ლექსები, რომელთა შორის ზოგიერთები დღესაც უცვლელად შერჩენ ჩვენს საბავშვო ლიტერას. მაგ: „შვილის ნუკრის ნაამბობი“ — ვაჟისი, „კაკანათი“ — რევიშვილისა, „ყაყიტას ქურდი“ ს. მგალობლიშვილისა და სხვა. ამ ჟურნალისათვის ვადმოითარგმნა-ვადმოკეთდა რუსეთში ცნობილი საბავშვო ლექსები: „მიპატიყება სასწავლებელში“ („წამოდექით ყმაწვილებო, ტანთ ჩაიცივით საჩქაროზე“). ამ ლექსიდან ბევრი საბავშვო ლექსები განვითარდა: შრომისადმი მოწოდება, თამაშობისადმი განწყობა (ილ. სიხარულიძის, ლ. გეგუჭკორის შემოქმედებაში ეხდებოდა ამის სახეებს), მეორე: „ყმაწვილი და პეპელა“ (ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა).

დანარჩენი მასალა შემდეგია: 1. ლომ-კაცი გ. წერეთელისა, რომელიც ზუთ №-შია მოთავსებული. ამ დიდ ზღაპარში ასახულია მეფე ბაქარის სამეფო, მრავალი ინგილ-გველებითა და დევებით. ეს ზღაპარი სახელმწიფოებრივ მართველობის ბევრ საკითხს ეხება, რომელიც დანტაზიასთან ერთად ისტორიულ მასალაზეა დამყარებული. 2. პაატა თემურიშვილი — ეს გაგონილი ამბავია. პაატა მეფე




მწერალი ქალი ან. ლვინიშვილი

ერეკლეს დროის გმირი არას. იგი თავის ამორჩეული ვაჟაკებით ხლებია შეფეს, რადგანაც სპარსეთის ყიენის ვალებს (ჯამუშები) თვალყურის ქვეშ იმყოფებოდა. ლევენდის ნაწილი პროზით არის დაწერილი, ნაწილი 16 მარცვლოვანი ლექსათწყობით. 3. მარინე — ხალხური ლეგენდაა ცახელისა. ესეც ისტორიულია. დედა თავის ერთადერთ შვილს შეწირავს ომს. მისი სევდა მძიმეა. ყოველ ღამე დადის მის საფლავზე. 4 მტრედი — მოჩხუბარიძისა (ა. ყაზბეგა). ლაპარაკია მტრედთა შორის მეგობრული დამოკიდებულებაზე. მართალია ბევრი პოეტური ადგილებია, მაგრამ გრძელი აღწერაა. ენა მძიმეა და მოკლებულია ლაკონიურობას.

„ნობათის“ ნომ რებში მოთავსებულია წერილები: გეოგრაფიიდან, ბუნებისმეტყველებიდან, ზოოლოგიიდან.

გაზ. „დროებას“ ფურცლებზე იაკ. გოგებაშვილი (ცნობილი პედაგოგი) სწერდა „ნობათზე“, რომ „საყმაწვილო ლიტ — რას დიდი მნიშვნელობის აქვს. ერის ცხოვრებაში. მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება ლიტერა და მეცნიერება ხალხისა. გონებითი მოძრაობა ერისა ჩვი-



შახეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყმაწვილო ნაწარმოებით, საყმაწვილო ლიტ-რით. თუ თქვენს შვილს პატარობისასვე მარჯვედ დაწერილი საბავშვო ნაწარმოებნი მიიწოდებენ თავისკენ, აგრძობინებენ სიამოვნებას, გულს საამუშრად უღელავენ. გონებას უფარჯიშებენ და კითხვის მოთხოვნილებას უღვიძებენ და უმტკიცებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გეზრდებით ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩენს დაულაღავ გონებითი მოქმედებას, რომლისთვისაც შკუის მოძრაობა, ვარჯიშობა წიგნის კითხვა, აზროვნება, მსჯელობა იქნება ისეთივე მიუცოდებელი ყოველდღიური საჭიროება, როგორც არის წყალი თევზისათვის, ჰაერი ფილტვებისათვის“.

ი. გოგობაშვილს არა სწამს შეთხზული, დამახინჯებული ამბები ისტორიიდან. ამ მხრივ მართალი იყო. მაგრამ მთელი ცალმხრივობა და რეაქციურობაც გოგობაშვილის იმაში გამოიხატება, რომ ყველა მეფეს „ხელს აფარება“ და არა სწამდა საზოგადო და თავისი ერის ისტორია კლასთა ბრძოლებით და ვინც კი გაბედავდა თქმას: „ხალხი იტანჯებოდა“ ამათჟიმ მეფეს მართვლობის დროს, მას რისხვითა და თავისი ისტორიული ხასიათის წიგნით უხედებოდა.

„ნობათის“ გარეგან გამოკვებაზე გოგობაშვილი ასეთი აზრისაა: „ამ მხრით ბატ. ანდროას გამოკვება ფრიალ მოსაწონა. სათაურის ფურცელი ლამაზია და ხელოვნურად შექმნილი სურათებით, ქალაქი ძალიან კარგია, სრულტი გარკვეული“.

„ნობათში“ ხანამშრომლობდენ ცნობილ მწერლებთან ერთად ბევრი შეითხვევითი პირებიც, რომელთა მოღვაწეობაც ამ უურნალთან ერთად მოთავდა. საბავშვო ლიტ-რას ამ უურნალიდან შერჩა მხოლოდ: ეკ. ვაბაშვილისა, ვაჟა-ფშაველას, გ. წერეთლის, ს. მგალობლიშვილი და სხვა.

ჟურ: „ნობათი“ გაფართოვების მაგივრად ყოველთვის კვეცდა თავის გარეგან სილამაზეს. დააკლდა სურათები და ფურცლებზე ნოვლებული არშია, რომელიც ტექსტს ამშვენებდა. ბევრი მოთხრობა დარჩა დაუმთავრებელი, რადგანაც ჟურ. „ნობათი“ შეწყდა 1885 წლის მესამე ნომერზე.

ჟურ. „ნობათი“ საესებით გამოხატავს მამხინჯელ პედაგოგიურ მიმართულებას და თანდათანობით მიიღო ნაციონალისტური სახე.

2

„ნობათის“ დახურვის შემდეგ მთელი ხუთი წელიწადი ჩვენში საბავშვო უურნალი აღარ არსებობდა. ზოგიერთ მაშინდელ გაზეთებში აქა-იქ იბეჭდებოდა საბავშვო ლექსი და მო-

თხრობა, მაგრამ სრულიად იკარგებოდა ეს მასალა პოლიტიკურ მასალაში.

1890 წლის განთიადზე გამოჩნდა „ჯეჯილი“, რომელმაც 30 წელი ატარა მძიმე ტვირთი საბავშვო ლიტ-რისა. მაგრამ, სახამ თვით „ჯეჯილის“ არსებობას შეეგებოდით, ზედმეტი არ იქნება გადავხედოთ იმ ცალიერ 5 წელს და დავინახოთ, რა გაკეთდა ამ დროს განმავლობაში საბავშვო ლიტ-რის ფრონტზე?

ამ ხნის განმავლობაში დაიბეჭდა სულ 24 წიგნი. მეტ წილად გამოკვეთილია ლექსთა კრებულები, შედგენილი: ხ. კვიციანიძის, ან. ჯუღელის, ივ. როსტომაშვილის, იაკ. გოგებაშვილის და სხვათა მიერ, რომელშიაც ძველი მასალაა, ე. ი. „ნობათის“ მასალაა უმთავრესად გადმობეჭდილი.

გამოკვეთილი წიგნებიდან აღსანიშნავია მხოლოდ დ. დეფოს „რობანზონ კრუზო“ — თარგ. ჯაჯანაშვილისა (1887 წ. შემდეგ ხელმეორედ თარგმან ან. წერეთელმა და გამოსცა სამჯერ). ეს ყველას მიერ ცნობილი წიგნი ჩვენი ბავშვებისათვისაც მეტად საყვარელი წიგნი გახდა.

მეორე მნიშვნელოვანი წიგნი არის ივ. როსტომაშვილის მიერ გამოკვეთილი ზღაპარი: „რწყილი და ჰიანჭველა“ — 11 სურათით. ეს წიგნი შეიძლება ჩაითვალოს პირველ დასურათებულ წიგნად სკოლის ასაკამდის ბავშვთათვის (ეს წიგნი 1935 წელს გამოვა. ბეჭდავს სახელგამის საბავშვო და ახალგაზრდოსეკტორი).

დაუბრუნდეთ „ჯეჯილის“ ჩვენი საბავშვო ლიტ-რის სათავე და განვითარება საბავშვო უურნალებიდან დაიწყო. „ნობათი“ კი დაიხურა სწორედ იმ ხანებში, როდესაც უკვე საყმაწვილო წიგნებისა და უურნალების მოთხოვნილება გადიდდა.

მეტად მძიმე და აწავი დროს ბეჭად 'სანტი-რის და გამოცოცხლებულ პერიოდში დაიწყო „ჯეჯილი“ თავისი არსებობა. მისი რედაქტორი 30 წლის განმავლობაში იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელისა.

„ჯეჯილი“ — ნორჩი მიზარტი თავისი სიმბოლოა, ამიტომ რედაქციამ 30 წლის მანძილზე ებიგრაფად უთავაზა იოსებ დავითაშვილის ცნობილი ლექსიდან ორი პუკარი:

„იზარდი მწვანე ჯეჯილო დაპურდი გახდი ყანაო“

„ჯეჯილი“ არ გვაუწყა თავისი მიზანი. მან გამოუშვა მხოლოდ გააცხადება: „ორთვეში ერთხელ გამოვა საყმაწვილო სურათებიანი უურნალი, სადაც დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ კაცთა ცხოვრების აღწერანი, პოემები,



მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო თამაშობანი და საჯარჯიმონი, სამათემატიკო ამოცანები, იგაკები, ანდაზები, გამოცანები, ნარკვი, რებუსები და სიმღერები ნოტებზე“ ამის შემდეგ დასძინს: „მონაწილეობის მიღება აკვიტაქვის ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა“.

პირველი ხელის მომწერა ამ ჟურნალზე იყო ოლთა ჭავჭავაძისა. და რედაქციას აღუთქვა — ილიას რამეს დავაწერანებო. მართლაც პირველი ნომრისათვის გაპოჯუნაგა ლექსი: „ბაზალეთის ტბა“, რომელიც პირველად „ჯეჯილი“ დაიბეჭდა.

„ჯეჯილი“ ექვსი წელიწადი გამოდიოდა ორ თვეში ერთხელ ე. ი. ნ წიგნი წელიწადში. შემდეგ კი გამოდიოდა ყოველთვიურად. პირველ ხუთ წელს ჟურნალი იბეჭდებოდა სულ 400 ცალი, შემდეგ კი — 600 ცალი.

ყდა პირველი ნომრისა ასეთია: ბარჯვენა მხარეზე გორაკები. დაბლობზე წყალი. მის ნაპირებზე აბიბინებული ჯეჯილი. წინა მხარეს, მარცხნივ დიდი ხე, თითქოს დაზაჯად უღვას მობიბინე ჯეჯალს.

ჟურნალი იხსნება შიო მღვიმელის ლექსით: ჯეჯილი. ლექსი სიმბოლიურაა. აქ მოცემულია ჟურნალს მნიშვნელობა, რომელიც განაახლა, გამოაცოცხლა საბავშვო ლიტერა:

აქამდის იყო თოვლის ქვეშ  
დაფარულ დამალულია.

ჟურნალი მკითხველივით:

ჯერ პატარაა, ქორფაა,  
თანდათან გაიზრდებაო,  
დაისხავს ოქროს თავთავსა  
ზღვასავით აღელდებაო.

შემდეგ, ეს მკითხველებიც ჟურნალთან ერთად გაიზრდებიან, დაპურდებიან, მოიმიკიან, გაილეწებიან:

დადგება წითლად ღვაგია  
და გაიხარებს გულითა  
იმისი დამთესავია.

მეორე ლექსი: ჯეჯილი — ვაჟას ეკუთვნის. აქ აღწერილია გლეხის შრომი პროცესები, რომ ჯეჯილი არის:

გლეხის მარჯვენის ნაღვანო  
და გლეხის ოფლით მორწყულო.

მაგრამ ამით არ არის გათავებული გლეხის შრომა:

ნამგლებს გაჰქონდეს პრიალი;  
მკერდოფლიანის ბიჭების  
ცასა წვდებოდეს გრიალი.

ბი, ასეთი შრომით უნდა განვლავთ თავის გაზ „ჯეჯილი“ და მისმა მკითხველმა. ეს ლექსი ძლიერია არა მარტო თავისი მნიშვნელობით, არამედ შინაარსით და აზრითაც.




ბავშვების საყვარელი მწერალი შ. მღვიმელი

ამ ლექსს მოსდევს ბარელის (იაკ. მანსვეტაშვილი) მოთხრობა: გიგლას სიზმარი.

ამ ნომერში მოთავსებულია აგრეთვე: აკაკის: „მერცხლისა და ჭივჭავის ომი“. ეს მოთხრობა ხელმეორედ 1908 წ. მოთავსებულია „ნაკადულში“. აქ ძლიერად არის მოცემული ფრინველების ინსტაქტები.

ვაჟა-ფშაველას მოთხრობა: „ჩვენი მამალი“ აღგვორიულია. აქ აღწერილია შინაფრინველების მოქმედება: როგორ უტოიანლებს მამალი თავის საშეჯოს დედლებს: როგორ ბრძოლას უმართავს უცხო მოსულებს, რომელნიც „ჩვენს ეზოში პამპლაუშობს და



ჩვენზე გაბატონება მოსწადინებია“. მართალია მამალს ინდაურები „გაბურტყნიან“, მაგრამ ვაჟს მაინც აწამს, რომ

არა უშავს რა, მამალი  
მაინც გმირია, მაინცა,  
ერთხელც იქნება მორჩება,  
ყელს მოიღერებს გმირია.

ი.კ. გოგებაშვილის „სპილო და ჭიანჭველაში“ აღწერილია სპილოს მიერ ჭიანჭველების ბუდის დანგრევა.

ე.კ. ვაბაშვილისა — წარმოდგენილია ორი მოთხრობით. ერთი „შობა ღამეს“; მოთხრობა ნათარგმნია და რელიგიური სულით არის გაჟღერებული. მეორე: „ღვთის შვილი“. აქ ძლიერად არის გადმოცემული ვაჭრის თვალხარბობა, გაუმაძღრობა.

ჟურნალის ლიტერატურული ნაწილი თავდება ილ. ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბით“.

სამეცნიერო განყოფილებაში მოთავსებულია: ალ. ჭიჭინაძის: „თეზოს“ — ბერძნული მითოლოგიიდან; ეფ. ჭ — ძის: „ჭინჭველა“ — ფიზიოლოგიური აღწერა. ჟურნალის ბოლოში: თამაშობა; ზღაპარი, გამოცანები, იგავები, შარადა და რებუსები.

საერთოდ ჟურ.: „ჯეჯილის“ მასალა უხვია. სწორედ ამ მასალით თითქოს ირკვევა ჟურნალის მიმართულება. მაგრამ შემდეგ წლებში სურათი თანდათან იცვლება. ექვსი წლის შემდეგ მართალია ყდა შეუცვალა რედაქციამ „ჯეჯილს“, ისე რომ თითქოს საქართველოს ცხოვრების მომცემი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოუმატა თარგმანებს. შემდეგ ეს ხათარგმნი მასალა ისეა გაზრდილი მთელი 30 წლის მანძილზე, რომ მათი ახლო და დაწვრილებით შესწავლამ დაგვანახა, რომ ორიგინალურ შემოქმედებაზე გაცილებით მეტია. ითარგმნებოდა უმთავრესად ფრანგული და ინგლისური საბავშვო ლიტ-რიდან.

ჟურნალის დაარსების მესამე წლის თავზე გორიდან რედაქციას მოსვლია შემდეგი შინაარსის წერილი: „მოუთმენლად მოვიღან „ჯეჯილის“ №№ — ბს მკითხველები ჩვენი მოხუცი ლენერლობაო“, როდესაც საბავშვო ჟურნალს მხოლოდ მოხუცი ლენერლობა მოეღის, ისიც „მოუთმენლად“ და გატაცებით კითხულობს, ჩანს ამ მოხუც ხალხს ძალიან მოსწონდა ეს ჟურნალი, რადგან ეს ხალხი მეტად რომანტიული და სანტიმენტალური იყო: ისინი განვლილ დღეების მოგონებით, სამხედრო გმირობით და თავიანთი „უაღრეს ქველმოქმედებით“ სულდგმულობდნენ. და ჟურნალ „ჯეჯილშიც“ ასეთ მასალას უხვად ხედავდნენ.

აღსანიშნავია ან. წერეთელის ვასაოცარი თვისება: რაც უნდოდა, რა აზრიც დაეძაბებოდა, სალი კლდესავით შემთავლებდა ამ სიჯიუტეს და არასგზით არ წავიდოდა დათმობაზე. გარდა ამისა დიდი ენერგია ემატებოდა მას ზოგიერთა მოწინავე პირების თანაგრძნობით. ავიღოთ თუნდაც ვახ. ორბელიანი, რომელმაც „მამობრივი ლოცვა-კურთხევით შეამკო „ჯეჯილი“. მას განსაკუთრებით ახარებდა ის აზრი, რომ ჟურნალის წარმოება ქალმა იღვა თავს და ალტაცებით ამბობდა: „ღედაკაცს ეკუთვნის განახლება და გარდაქმნა ქართველი ერისაო“. ან კიდევ აკ. წერეთლის გამოთქმა: „როდესაც პატარა პრუსიამ დიდი საფრანგეთი დაამარცხა, მაშინ ყველამ აღიარა, რომ ამ გამარჯვებაში სახალხო მასწავლებელს დიდი წილი უდევდაო. სწავლა-განათლება ხალხს გამაღონიერებელია და ან. წერეთელი ამ საქმეს ეხმარება. პირნათლადაც ასრულებს და მას ჯანმრთელობა უსურვითო“. აი ეს ახლო მეგობრების სიტბო, დამოკიდებულება და თანაგრძნობა მატებდა ძალას და აძლევდა იმპულსს ან. წერეთელს საქმის შეუჩერებელივ გაგრძელება-სათვის.

მხოლოდ საჭირო შეიქნა ჟურნალის საფუძვლიანი კრიტიკა, რომელიც მას ობიექტურ მსჯავრს დასდებდა. რედაქციას ილია ჭავჭავაძისათვის მიუმართავს, მაგრამ მას ოღლა ჭავჭავაძის პირით უფრო შემოუთვლია: „კრიტიკას ვერ დავწერ, ქალების თავი არა მაქვს, აყაყანდებით და სხვა არაფერია“. მალე კრიტიკა დაწერა ნიკო ნიკოლაძემ. „ჯეჯილის“ რედაქტორი ან. წერეთელი ამ კრიტიკის კმაყოფილი არ იყო.

1905 წლის რევოლუციის სამზადისი სუსტად არის წარმოდგენილი „ჯეჯილში“ და თვით რევოლუციასაც მხოლოდ ორი მოთხრობით შეხვდა.

ხოლო იმპერიალისტური ომის პერიოდში ე. ი. 1914 — 16 წლამდის „ჯეჯილში“ განსაკუთრებით გამრავლდა მხატვრული ნოთხრობები: ოქროს თევზებზე, ბულბულის გალობაზე, მელიას ოინებზე, პირაქლების კვერცხებზე, ფრინველებზე, ქბოველებზე და სხვა.

საერთოდ აუარებელ თარგმანებში აღსანიშნავია დიკენსის: „დავით კობერფილდი (1912 წ.), კიპლინგის: „რიკი — ტიკი — ტავი“ (1908 წ.), ლ. ტოლსტოის: „კავკასიის ტყვე“ (1910 წ.), ლუნეკვიჩის „პარველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება“ (1913 წ.) ამავე რედაქციით სახელგამმა გამოსცა ეს წიგნი (1917 წ.)

„ჯეჯილში“ ბევრია ისტორიული ამბებიც. ეს მოთხრობები აშენებულია მეფეთა გმირულ

ჩვევებისა და თვისებების ჩვენებაზე. ყველა მეფე იყო: გამბედავი, უშიშარი, მეომარი, ჩვეყნის ერთგული, ხალხის მოყვარე, ერისათვის მზრუნველი, ჩველმოქმედი, შემბრალე, გულუხვი. მხოლოდ ერის ღალატს არავის აპატიებდენ. მოღალატეთა ლეშს ნადირებიც კი არ ეკარებოდენ: „პირს არ დააკარებდენ, შიმშილს რჩებდენ, ვიდრე მოღალატის ლეშით პირის წაბილწვას“.

„ჯეჯილი“ მდიდარია საბუნებისმეტყველო მასალით. გადმოითარგმნა ბრემის ცნობილი წიგნიდან ნაწილები (1908 წ.). თარგმანი არ დასრულებულა.

აგრეთვე მოთავსებულია მრავალი გეოგრაფიული და ეტნოგრაფიული ხასიათის წერილები. ბავშვებს რომ გაადვილებოდათ მიკანიერული ცნობებისა და ცნებების შეთვისება და გაგება, ასეთი წერილები დამუშავებულია სხვადასხვა ფორმით, მაგ: დიალოგის ან მიწერ-მოწერის სახით.

საინტერესო არის ის, რომ თვით რედაქტორს არა ჰქონდა გარკვეული მიზანი. ვერ გაითვალისწინა თავისი ჟურნალის მიმართულება ჟურნალის აპოთეოზის დროსაც კი. ამას ადასტურებს მისი წერილები მკითხველებსადმი სადაც ეუბნება, რომ „ვცდილობდით მე და ჩემი თანამშრომლები რომ თქვენ დედა-ენაზე წერა-კითხვა გესწავლათ და კითხვა შეგყვარებოდათ“, და მის მიერ ოფიციალური აღიარების და მისი განზრახვის ვარაუდ გამოიკვეთა „ჯეჯილის“ რელიგიური და საინტელექტუალური მიმართულება.

ჟურნალში თავიდანვე თავი მოიყარა მუდმივი თანამშრომლობისათვის ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა და განსაკუთრებით კი მთარგმნელებმა. ამ უამრავ თანამშრომელთა შორის აღსანიშნავნი არიან: ან. წერეთელისა, ეკ. გაბაშვილისა, ეკ. მესხისა (საუკეთესო მთარგმნელი), ცახელი გ. წყალტუბელი (იოსელი-



ბოტი ი. სინარულიძე

ანი). ალ. თიქაბერიძე, ილ. ალხაზიშვილი, შიო მღვიმელი, მარ. დემურია, ბახანა, პ. მირიანიშვილი, ივ. გომართელი, ლ. აღნიაშვილი, ალ. მირიანიშვილი, თ. რაზიკაშვილი, ს. კარიჭაშვილი, ელიკო წერეთელი (თარგმანის დიდი ოსტატი), სოფ. ციკაშვილი (მთარგმნელი), ივ. ელიაშვილი, ვაჟა-ფშაველა, და შრ. სხვა. აგრეთვე ზოგჯერ თანამშრომლობდნენ: გრ. აბაშიძე, მახხანელი, ვ. ბარნოვი, პ. გოთუა, განდეგილი, დარ. ახვლედიანი, ვ. რუხაძე, დუტუ მეგრელი, ს. შანშაშვილი. მცირე წლოვანთა განყოფილებაში კი უმთავრესად მუშაობდნენ: მიმქრალი, კეკელი, ილ სინარულიძე, ი. გრიშაშვილი, ლ. ქიხელი, ი. მჭედლიშვილი, ლ. გაგიშკორი, გ. ქუჩიშვილი და სხვა.

ამ თანამშრომელთა რიცხვიდან ზოგი დასრულებული საბავშვო მწერალი დადგა და დღესაც განაგრძობს ამ დარგში მუშაობას, უმრავლესობა კი ჩამოშორდა საბავშვო ლიტერატურას და ზოგმა ამ ჟურნალთაგან მოათავა თავისი მუშაობა სამწერლო ასპარეზზე.

„ჯეჯილს“ უსათუოდ ჰქონდა ბევრი დაღვბითი მხარეები და დიდი დამსახურება მუშაობის ჩვენი საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში.

3

1905 წლის რევოლუციის მიჯნასთან ე. ი. 1904 წლიდან ჩვენს საბავშვო ლიტერატურის მიემატა კიდევ მეორე საყმაწვილო ჟურნალი: „ნაკადული“.



მწერალი რ. ქორჭია

მეტად მკრთალად შეაღო ჟურ: „ნაკადულ-მა“ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების კარები; მაგრამ ბოლოს ჟურ. „ნაკადულის“ სახე მეტად მკვეთრი, პროგრესიული იყო და ამით განსხვავდებოდა „ჯეჯილიდან“.

„ნაკადულის“ პირველი დამაარსებელი იყო მარიამ დემურია. პირველი მოღვაწე ქალი, ჟურნალისტი, თავდადებული სახალხო თეატრისა. „ნაკადული“ დაარსებაში მას დაეხმარებნ: დარ. ახვლედიანასა, ირ. ევლოშვილი, ან. ჯავახიშვილი-გურგენიძისა, თამარა ჩიჯავაძე, თამარ ლომოური და სხვა.

„ნაკადული“ პირველად მარტო მოზრდილთათვის იყო. ყდა ასეთია: მომდინარე ნაკადული, სოფლის გოგო-ბაჭები კოჭებით, იქვე წისქვილი. მარჯვენა მხარისკენ პატარა ჩარჩოში ორი ქალაქელი ბავშვი, რომელნიც წიგნი კითხულობენ. (შემდეგში ყდა თითქმის ექვსჯერ შეიცვალა).

ეს ყდა გამოხატავს თითქმის იმას, რომ ქალაქის ბავშვებმა უნდა გაიცნონ, სწორედ იმათი ცხოვრება, რომელთაც ზევიდან დაყურებენ, ე. ი. სოფელს, სოფლის ყოფა-ცხოვრებას.

„ნაკადულის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1904 წ. ნოემბერში. „ნაკადულს“ არც გეგმა, არც განცხადება არ მოუცია. მალე იგი გადაიქცა ჟურნალად ორივე ასაკისათვის: მცირე წლოვანთათვის გამოდიოდა 24 წიგნი მსხვილი შრიფტით, სურათებით; მოზრდილთათვის 12 წიგნი.

გავეცნოთ „ნაკადულის“ პირველ ნომერს: ჟურნალი იხსნება აკაკის ლექსით: „ნაკადული“. ეს ლექსი შეიძლება ზოგადად ჟურნალის სულისკვეთებათაც ჩავთვალოთ:

სწავლა წყარო არს ცხოვრების,  
სიბრძნე — მისი ნაკადული,  
და ნაყოფი მათი ერთად —  
შეება, ლხენა სიხარული.  
დედის რძისთან ვინც შესწოვა  
მისი ქვეყნის სიყვარული,  
მას გაუწმენდს სულსა და გულს  
ეროვნული ნაკადული.  
მაგრამ შრატსა დედინაცვლის  
ვინც კი დააჯერა გული,  
იმას უწევს ნაღვლ-შხამად  
ცხრა მთას იქით ნაკადული.  
და შენც ყმაო, თუ გსურს გახდე,  
შენი ქვეყნის ძე, ერთგული,  
შესგი წყარო ეროვნებას  
გწამდეს მისი ნაკადული.

ამ ლექსს მოსდევს იაკ. კოკებაშვილის: „ქათმის საიდუმლოებანი“. თემა ბუნებისმეტყველებიდან არის აღებული. დალოგით არის აღებული წიწილის ჩასახვისა და ზრდას პროცესი კვერცხში. აქვეა მოთავსებული ვაკელის

ლექსი: „ამაყი მუხა“. ამ ლექსს მოსდევს აკაკის მოთხრობა: „ლეგენდარული“. ამასვე მოსდევს მერში ნათარგმნია ანტ. ჩხეიძის მოთხრობა: „ვანკა“. ჟურნალთა ვიწროვი ერისთავის და სტეფ. ზუბალაშვილის ნეკროლოგებით.

1910 წლიდან (დემურიას გარდაცვალების შემდეგ) „ნაკადულის“ ოფიციალური რედაქტორი გახდა ნინო ნაკაშიძე, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თავისი ჟურნალი მოიტანა ოქტომბრის რევოლუციამდის, და მის შემდეგაც კარგა ხანი ხელმძღვანელობდა როგორც „ნაკადულს“ (ახლა „ოქტომბრელს“), ისე საბავშვო წიგნების გამოცემის საქმეს.

„ნაკადული“ შედარებით „ჯეჯილიდან“ უფრო პროგრესიული იყო. „ჯეჯილს“ თუ ერთგვარ მფარველობას უწევდა „ყოვლად უსამდელოესობა“, ჟურ: „ნაკადულს“ სასტიკ კონტროლს უწევს ცენზურა და უკანასკნელ გაფრთხილებასაც აძლევს, როდესაც ჟურნალს უკრძაღვს ნარის ლექსის „პატიმარის“ დაბეჭდვას. ეს ლექსი ცენზურამ „უკიდურესად მაგნი აზრის და ტენდენციურ ნაწარმოებად ცნო“, თუმცა შემოკლებით მაინც დაიბეჭდა 1906 წელს.

„ნაკადულის“ პროგრესი იმაში გამოიხატება რომ ის ჩვენს მაშინდელ ცხოვრებასთან ახლოს დადგა.

„ნაკადულის“ შემდგომ წლების დახვეწილმა, ორიგინალურმა, მხატვრულმა მასალამ შუქი მოფინა ჩვენი გლეხ-კაცის ცხოვრებას, მის უსამართლოდ დაჩაგვრას ყველას მიერ. აქვე აჩვენა მუშათა უბნები, მუშის ოჯახი, მისი ექსპლოატირება; ვარდა ამისა უჩვენა დასახიზრებულთა, სხვადასხვა ხელოსანთა, დევნილთა ჭირი, ვარამი, სულიერი განწყობილებანი.

თუმცა ისიც უნდა აღინაშნოს, რომ ამ მოთხრობებს დადებით მხარეებთან ერთად დიდი ნაკლიც ახასიათებს. „ნაკადულმა“ მართალია თავის მოზარდ მკითხველში უდაკოდ გააღვიძა ბრძოლის სურველი, მაგრამ ამ ბრძოლის გზებში, უსამართლობასთან გამკლავების საშვლებანი, გამარჯვების მეთოდები აშკარა ვერ გახადა. მაგრამ მიუხედავად ამისა „ნაკადულის“ მიმართულება გამოიკვეთა მხატვრულ-რეალურ მიმართულებაში.

ამასთან ერთად, ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ეს მიმართულება „ნაკადულმა“ შექმნა არა რედაქციის გეგმათ, განზრახვით, რედაქციის გამომუშავებული სულისკვეთებით, არამედ ეს მიმართულება „ნაკადულს“ შეუქმნეს, გაუმარგეს ჩვენმა მწერლებმა, რომელთაც საერთო ლიტ-რაში უკვე გარკვეული მიმართულება და გზა ჰქონდათ და ეს გზა გაავლეს

საბავშვო ლიტ-რაშიც და „ნაკადულიც“ ამ მწერლების გავლენის ქვეშ მოექცა. „ნაკადულის“ რედაქცია ჟურნალზე დაწერილ კრიტიკას დიდ ანგარიშს უწევდა და მისი კარნახით მოქმედებდა.

ჩვენს მოზარდ თაობას „ნაკადულის“ მხატვრულმა-რეალურმა მიმართულებამ გორიზონტი გაუფართოვა, გადაუშალა აქამდის მისთვის უცნობი ქვეყანა და მოვლენები, მთელმა ცხოვრებამ მის ავალწინ გაიარა მრავალფეროვანმა სინამდვილით, სანტიმენტალობის გარეშე, თუმცა ჰუმანიურ ზრახვებს არ იყო აცდენილი. სწორედ ეს ცხოვრების სინამდვილის აღწერა, მხატვრულ ფორმებში მოცემა იყო ცენზურასათვის საშიში და საბავშვო ლიტ-რაც ისევე შეავიწროვა, როგორც საერთო ლიტ-რა.

ჟურნალს გარს ეხვია საუკეთესო მწერალნი, რომელნიც მუდმივად თანამშრომლობდენ: ნ. ნაკაშიძე, მარ. დემურია, ნ. ჩხიკვაძე, ირ. ევლოშვილი, ვაჟა-ფშაველა, ნ. ლომოური, შიო ლვიმელი, ცქვიტი, მიმქრალი. თანამ-

მენშევიკების ბატონობის წლებში ქართული საბავშვო ჟურნალები სინამდვილეში მოწყდნენ თავიანთ დანიშნულებას და უფრო ეროვნული მოტივის ტრიბუნად გადაიქცნენ. ამ დროს გახშირდა ზღაპრები ბუღბუღოთ ხელმწიფის ასულებზე და თარგმანები მურზილკას თავგადასავლებზე. ყურადღება გამახვილებულია უფრო კერძო საკუთრების დაცვაზე, რომელიც თითქმის გაიდევალბულია.

„პატარა შაქრო პატარაობითვე სიყვარულით შეცქეროდა თავის მიწას და მის უხვ ნაყოფს. სწავლა-განათლებას მოკლებულ მამას არც შეილისათვის სწყუროდა იგი, მიწა უხვად უბრუნებდა შრომის ფასს: „დაე ჩემმა შაქრომ მიწით ირჩინოს თავიო“ — ფიქრობდა მებაღე. შაქროსაც უხაროდა და თავმოძვონედ ეუბნებოდა მამას: „ამისთანა ატამი როგორიც ჩვენს ბაღშია, მთელ მაზრაშიც არ მოიპოვებო“. მამა უპასუხებდა: „მართალი ხარ შეილო, მაგრამ იცოდე კარგ საქონელს კარგი პატრონის თვალისა სჭირია! შენვე უნდა მოუარო შენს გაზრდილს, თორემ ძრავალია ავი სული დედამიწის ზურგზე და ისე გაჰფიქვნიან რომ საგანგებოდაც არ დასტოვებენო“.



შრომლობდენ აგრეთვე: კიბა აბაშიძე, არ. ჯორჯაძე ალ. ხანვიანაშვილი, ილია ნაკაშიძე, ივ. გომართელი, დ. კარაჭაშვალი, ნ. აღნიაშვილი, არჩ. ჯაჯანაშვილი, მარ. გაიიყული, განდეგილი და მრ. სხვა.

ამგვარად ჩვენმა საბავშვო ჟურნალებმა ქართულ საბავშვო ლიტ-რის განვითარებას დიდი სამსახური გაუწიეს.

— : —

მართლაც ეს ბავშვი ისე განისმჯვალება ამ თავისი ბალის სიყვარულით რომ ატყავს დასთვლის ხეზე და მთელ ღამეებს ყარაულობს რომ არავინ მოაპაროსო. ასეთი აზრით დაწერილი მოთხრობები მრავალია 1917 — 18 წლების მანძილზე.

საერთოდ ორივე ჟურნალში ქარბობს ისევე ჩვეულებრივი ცხოვრება ბავშვისა — ოჯახში: თავის ქათმებთან, ძაღლებთან, კატებთან. სოფელი კი მოცემულია ტრადიციულად: თხილით, ნიგვზით, ვაშლით, და ჩურჩხელებით.

ერთის შეხედვით ჩვენმა საბავშვო ჟურნალებმა თითქოს ბავშვი „არ შეაწუხა“, მათი ნაზი აგებულება „დაფარა“ რევოლუციის ორომ-ტრიალისაგან, ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებისაგან და დააკმაყოფილა სულ მკვირედი, აჭა-იჭა გაბნეული ცხოვრების საკითხებით. ამით თითქოს ძველი შეხედულება — ბავშვის „პასიურობა“ შეინარჩუნა. მაგრამ თუ ამას მთლიანად დავჯერებთ, ცოტას მოვსტყუვდებით.

აბა ნახეთ, როგორი ღვარძლით შეხედენ ოსმალების მიერ ბათუმის დაპყრობას და როგორ ხაზი გაუსვა საქართველოსი და სომხეთის ომს; თუმცა თითქოს ყველა ამ საკითხებზე პოლიტიკური წერილები ლიბერალური ხასიათისაა, მაგრამ ვარკვეულ შეხედულებებს უკლებლად ამჟღავნებენ.

ან როგორის ალტაცებით და დარწმუნებით შეხედენ 1920 წელს 12 იანვარს ინგლისის მიერ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებას. ამას უწოდებს ჩვენმა საბავშვო ჟურნალებმა: „სამართლიანობის აღიარება“ „ერი წავა წინ თავისი მუღმივი მისწრაფებით — ძმობისა, თანასწორობისა და სიყვარულის დასამყარებლად ჩვეყნიერების თავისუფალ ხალხთა შორის“. („ნაკადული“, „ჯეჯილი“ 1920 № 1, 3.

დიდი ხნის დადუმებული დუტუ მებრელიც კი ამეტყველდა:

მეუბნებიან, სანატრელი, ჰა, აგვისტულდა,  
და რად არ ჟღერენ ტკბილად შენი ჩანგისა  
სიმნი?

ხედავ, სამშობლო საყვარელი,

კანთავისუფლდა  
და უმღერო საზეიმო ლხენისა ჰიმნი“.

ან კიდევ:

კარზე რომ ძილი მოდებდა,  
მყუდრო და მშვიდი სახისა,

მთიდან ვილაცა ვაჟაკი  
სულ იმას გაიძახისა:

„არ დაიძინოთ ძალიან,

მნახველნო სივარდისა,

ღროს ეძებს ძველი მტანჯველი

მზიდველი ავი ზრახვისა.

მეც რომ სოფელში გამოვალ  
სულ იმას ვამბობ ტკბილად:  
მუდამა ვმართებს, სამშობლოვ,  
იყო ფხიზლად და ფრთხილად“.

დიდი კომენტარები არ ესაჭიროება ამ ლექსს.

აი, ასეთი მდგომარეობით და სულიერი განწყობილებით შეხვდა საბავშვო ჟურნალები საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებს დამყარებას.

## 1921 — 1924 წ.

გასაბჭოების შემდეგ დაახლოვებით პირველი ორი წელიწადი ჩვენმა საბავშვო ლიტერამ და ჟურნალებმა ისევ ძველი გზებით იარეს. მართალია ორივე ჟურნალი: „ჯეჯილი“ და „ნაკადული“ დაექვემდებარა განსახკომის სოცალზრდის მთავარ. მართველობას და გამდიოდა მისი სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელობით, მაგრამ ძირითადი გარდატეხა ჩვენს საბავშვო ლიტ-რში და ჟურნალებში ვერ მოხდა.

ჟურ. „ჯეჯილის“ ერთ-ერთი ნომერი, რომელიც მიძღვნილია, საბჭოთა პროპაგანდის დღისა და ოქტომბრის დღესასწაულისადმი, ისევ იმ სახით დი ამ მასალათ არის საყე, როგორიც იბეჭდებოდა გასაბჭოებამდის.

მაგ. დავ კასრადის: „ფარვანას ტბა“. ლეგენდა კოშკზე და ტბაზე, რომელიც დავკავშირებულია ქართლის მეფის ქალთან. ეს ქალი მყოცნება. ეძებს არაჩვეულებრივ სიყვარულს და ისეთ გმირს. რომელიც ჩაუქრობელი ცეცხლს მოუტანს. სამწუხაროდ ეს ლეგენდა არ არის ისეთი აზრით დაწერილი, რომ ეს ცეცხლი მივიღოთ რევოლუციის სიმბოლოთ, პირიქით, სამეფო რაღაცა „სეკიდის ტრუბლებს დაეჩრდილათ. არაგის ემჭირობოდა. არაგის უხაროდა. გაჭრა სიხარული და ერთმა ვაიბამ დაისადგურა... ყოველისფერი ცრემლებით იღველფება“. და ეს ქალი იონაც ძლიან ზშირად „წარსულის ნეტარ მოგონებას ეძლეოდა“.

აქვე ცქვიტის უდაოთ ძლიერი, მეტად მხარბრული ენით დაწერილი სიმბოლიური პატარა ნაწყვეტი: „უკვდავებისაჟენ“. აქ გამოყვანულია უკვდავების მადიებელი ადამანი, პეპელას სახით, რომელსაც ძლა არა აქვს, მაგრამ აქეთ-იქით აწყდება. ბოლოს მიაგნებს ყინულთ მწვერვალს და ეგონა იქ იყო მისი ძიების მიზანი.

ამ დაუდგრომელმა ბორიალმა, მისწრაფებამ იმხვევრბლა ის, ვინც ეძებდა მიუწვდომელს.

აქვე იასამანის ერთი ლექსიც: „ბატარებს“, რომელიც ძალიან ალეგორიულად მისტირის მენშევიკებს და ბავშვებს კი იმათ შესახებ ეუბნება:

„დაგრჩებათ სხივი გულის გამთბობი  
ბრძოლათ ამბები დაწერილები.

(ჟურ. „ჯეჯალი“ № 1.)

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო „ნაკადულში“. აქ უფრო განშირდა სახალწლო და საშობაო მილოცვები და მთელი ექვსნომერში ორ-ორი ან მეტი ჟურნალის დათმობილი აქვს დიდ მოთხრობას: „მურზილკას თავგადასავალს“, რომლის დასაწყისიც გასაბჭოებამდის დაიბეჭდა.

მაგრამ გვხვდება ახალი მასალაც პოლიტიკური ხასიათისა, როგორცაა მაგ: მე-3 ინტერნაციონალის წარმოშობა, მუშათა დღესასწაულზე და სხვა. გვხვდება ლექსებში ახალი მოტივებიც ილ. სიხარულიძისა, შიო მღვიანელისა, გ. ქუჩიშვილისა.

საბავშვო ჟურნალებში ხშირად იბეჭდება ისევე ძველი ალყადა. აღსანიშნავია რომ ეს მწერლები განზე არ გადგენ, და თავიდანვე მოინდომეს თანამშრომლობა. ისინი ახლო პივიდენ თანადროულობასთან, მაგრამ თუ მაინც ისინი მოისუსტებენ რაოდენობის და თვისების მხრივაც ეს უსათუოდ ჟურნალების რედაქციების მოუქნელობა უნდა მიეწეროს.

აღსანიშნავია ის რომ ძველი მწერლებთან მიმჭრალი იყო პრევილი, რომელმაც დასწერა უპატრონო ბავშვებზე და საბჭოთა საბავშვო სახლებზე გამართულ საბავშვო მოთხრობა. (მოთ. „საბავშვო სახლში“)

## 1924 — 1934

ჟურნალი „წითელი სხივის“ გამოჩენით (1924 წელს ჟურ. „ჯეჯალის“ სახელწოდება შეიცვალა „წითელ სხივად“) იწყება ახალი ხანა ჩვენი საბავშვო ჟურნალების ისტორიაში. ამ წლიდან საბავშვო ლიტერაში და ჟურნალებში მოისპო ძველი კზით სარეული, ვაიდენა ძველი თემა, ძველი ლიტერატურული ტრადიციები. მკვითრად შეიჭრა საყოველღეო პოლიტიკური საკითხების გაშუქება, ახალი იდეები, ახალ ცხოვრების სახე და საკითხები. ამ პერიოდთან კომკავშირის საუკეთესო ნაწილმა, რომელთა სახეც პროლეტმწერლობაში გამოიკვეთა, საბავშვო ლიტერაშიც დაიწყო მუშაობა. ასეთებია: ალ. მაშაშვილი, კონ. ლორთქიფანიძე, ელ. პოლუმორდენიოვი, არ. ჩაჩიბაია, გ. ჟურული. ამათ მიჰყვნენ ს. ეული, ს. ერთაწმინდელი, ნ. ზომლე-

თელი, ბ. ბიბინიშვილი, მარიაჯან. და სხვები. შემდეგ წლებში ამათ მიემატნენ საუკეთესო მოწინავე პოეტები არ. აბაშიძე გ. მწერლები: ბ. ჩხეიძე პ. ჩხაკვაძე. თანამშრომლობდნენ უამრავი ახალი კადრები, რომელთაც კვალი ვერ დაამჩნიეს თავიანთ მუშაობაში.

თანდათან შეიცვალა მთლიანად ჟურნალების შინაარსი: დიდი ადგილი დაეთმო ეკონომიურ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და მეცნიერულ საკითხებს. ფართედ გაშუქდა საერთაშორისო მუშათა კლასისა და ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა, საქართველოს პიონერ-ორგანიზაციის მუშაობა.

მხატვრულ მასალაში მოკეცულია ძველი სკოლის მახინჯი სახეები (დონდუას და სხვების მოთხრობები); მოჯამაგირეთა, მარქლაქეთა, ებრაელთა ყოფა-ცხოვრება (დონდუასი და ს. ერთაწმინდელის მოთხრობები); დიდი ადგილი დაიჭირა ბავშვთა მონაწილეობამ წარსული რევოლუციურა მუშაობის მოკვამ (კონ. ლორთქიფანიძის, ე. თურდოსპირელის, ყამარაულის და სხვების მოთხრობები).

ეს საკითხები სოციალური სახით მოკეცული სულ ახალი იყო საერთოდ ჩვენი საბავშვო ჟურნალებისათვის.

მაგრამ ერთი უნდა აღინიშნოს რომ საკურნალო წერილების ენა თავიდანვე მოკლებული იყო სისადავეს, მხატვრობას, მეცნიერულ წერილები კი სიმარტივეს. ყველა ამ წერილებს ახასიათებს სიმშრალე. მხატვრულ მოთხრობებს კი აკლიათ ემოციონალობა და დინამიურობა.

ეს ნაკლი ნაწილობრივ დღესაც ახასიათებს ჩვენს საბავშვო ჟურნალებს.

ამის ერთი მიზეზია საბავშვო ჟურნალის თავის სიმალღეზე დაყენების სიძნელეები. ძნელია საბავშვო ჟურნალის მთლიანი ჩაბოყალიბება. აქ მიმართულებას შექმნა მთავარი და ახალგაზრდა მკითხველის ყოველმხრივი კოდნა და მისი აღზრდაც. საბავშვო ჟურნალი ეს ის ხიდი, რომელიც გადებულია ბავშვის შეგნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის. ამიტომ ბავშვთან შეგუებას საჭირო და მწერლებთან, მხატვრებთან მეთოდური მუშაობა ამ მიმართულებით ჟურნალის მხატვრული მთლიანობისათვის. შემთხვევითი შემოსულ მასალას კი არ უნდა ეთმობოდეს ადგილი. არამედ წინასწარ შედგენილი გეგმით განსაზღვრულ მასალას. ამასთანავე საზოგადოებრივი, პოლიტიკური ცხოვრების მასალის სიმარტივე უნდა იყოს დაკული, ხოლო მეცნიერულში სიზუსტე. არ შეიძლება საბავშვო ჟურნალებში ბავშვს ველაპარაკოთ ისე როგორც ამას ელაპარაკება საზმეცნიერების ან სხვა სახელმძღვანელოები.

ენის სისადაგე, წერილების დამუშავება ბავშვებისათვის გასაგებათ, მერე ამ წერილების და მოთხრობების შესაფერისი ილუსტრაცია არ ახასიათებდა ჩვენს საბავშვო ჟურნალებს.

ეს გახლდათ ერთი მიზეზთაგანი რომ ზიარაჟი ჩვენი საბავშვო ჟურნალებისა ვერ იზრდებოდა.

გეგონია რომ „პიონერი“ თავის 10 წლის თავზე ზემოდ მოყვანილ მოთხოვნებიებს უკვე ასრულებს.

თუ გადავხედავთ უკანასკნელი ორი წლის ჟურნალებს ჩვენ დავინახავთ მის ყოველმხრივ გაუმჯობესებას.

მთელი ათი წლის განმავლობაში ჟურ: „პიონერმა“ თავის გარშემო შემოაკრიბა ძველი კადრები: ცქვიტი, შიომღვიმელი, ლ. გეგეჭკორი, მიმჭრალი, მარიჯანი, ელ. სიხარულიძე, ნ. ნაკაშიძე, და მრ. სხვა. წამოსწია ბ.ერი ახალი კადრი და ამ ჟურნალიდან აიღვა ლიტრული ფეხი და შესამჩნევად ვახდა საერთო ლიტ — რაში, ბევრი კი შემთხვევითი თანამშრომელი აღმოჩნდა. აუარებელ გვარებიდან ჩვენს ლიტ — რას შერჩენ მცირეოდენი; ალიო ადამია, ს. წვერაგა, სიმ. მთვარაძე, ლავ. ჭიჭინაძე, გ. შატბერაშვილი, დ. შამათავა, მარიკა მიქელაძე და ვრ. სხვა.

სადღესოდ ჩვენი იუბილარი ჟურნალის გარშემო შემოკრებილია ერთი საუკეთესო მო-

წინავე საბავშვო მწერლები და მხატვრები ასეთები არიან: გ. კაჭახიძე, ცქვიტი, მარიჯანი, ბ. ჩხეიძე, ირ. აბაშიძე, ცვარ-ნამი, სიმ. მთვარაძე, ლავ. ჭიჭინაძე, ლ. გეგეჭკორი, ახალგაზრდობიდან: გ. კალანდაძე, თამარ ოყრეშიძე, შ. სამადაშვილი, ავ. კაშმაძე, აკ. გოცირიძე, დ. შამათავა, შ. ებრაღიშვილი, ს. ჟღერტი და მრ. სხვა. მოწაფეებიდან: ლეოპოლდ ხეიჩია, ბუქურაული, აბრამიშვილი და მრ.

„პიონერი“ ახლა 10 წლისაა. იგი იზრდება, მტკიცდება ლიტერატურულად მხატვრულად. იკრებს თავის ირგვლივ მოწინავე საბჭოთა მწერლებს, ახლად დამწყებთ, ახლ ნორჩ მწერლებს. მის მხატვრულ გაფორმებას სათავეში ჩაუდგენ ჩვენი საუკეთესო მხატვრები: ელ. ახვლედიანი, სევ. მასიაშვილი, ვახაშვილი, ახალგაზრდა მხატვრებიდან ირ. გეგნერი, გიგოლაშვილი ყაზბეგი და მრ. სხვა.

„პიონერის“ მუშაობის ირგვლივ გამაზვილებულია მთელი საბჭოთა საქართველოს კულტურული საზოგადოებრივობა და ეს თავდება იმისა, რომ უახლოეს დროში „პიონერი“ მეტ გამარჯვებას მიაღწევს, მეტად აამაღლებს თავის ღირსებას და უკეთ მოემსახურება ჩვენი ახალი თაობის მაქსიმალურად გაზრდილ პოლიტიკურ-კულტურულ და მხატვრულ-ლიტერატურულ მოთხოვნილებას.

აპ. ჩხეიძე  
ან. ღვინიაშვილი


## პიონერის იუბილას გამსარჩებელ კომიტეტი

„პიონერის“ იუბილეს უნდა ვადიქცეს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის უდიდეს ზეიმად. მან უნდა განამტკიცოს ჟურნალი, გახადოს იგი მეტად საინტერესო ათიათასეულ მკითხველთათვის. „პიონერის“ იუბილემ უნდა გაამაზვილოს მასწავლებელთა, მშრომელთა და მთელ საზოგადოებრიობის ყურადღება ჩვენი ახალი თაობის კულტურული, მხატვრული აღზრდის საქმისადმი.

„პიონერის“ იუბილეს უდიდესი ინტერესით ხვდება საქართველოს მშრომელი მოსახლეობა. „პიონერის“ იუბილესადმი განსაკუთრებულ სიყვარულს და მზრუნველობას იჩენს ჩვენი პარტია, კომკავშირი,

მთელი ხელისუფლება და განსაკუთრებით განსახკომი. 31/XII 1934 წლისა საქ. განათლების სახალხო კომისრის მოადგილის ამბ. შალვა გეგენავას თავმჯდომარეობით შედგა საიუბილეო კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა იუბილეს ჩატარების გეგმა. კომიტეტის მიერ დამტკიცებულ გეგმით გადაწყვეტილია მოსამზადებელი მუშაობა დამთავრდეს იანვარში. მოსამზადებელი მუშაობის პროცესში 17 იანვრისათვის გამოვა „პიონერის“ გაორკეცებული საიუბილეო ნომერი (№ 12), ამავე 17 იანვარს „პიონერის“ საიუბილეო ნომერთან ერთად გამოვა ბროშურა „პიონერის“





10 წლის არსებობისა და მისი მუშაობის ირგვლივ. ბროშურაში იქნება თეზისები და მასალები მომხსენებელთათვის. ეს ბროშურა გამოვა განსახორციელებელი რაოდენობით და დაურიგდება განათლების ორგანოებსა და სკოლებს, ბროშურის სარედაქციო კოლეგია დამტკიცებულ იქნა ამხ. რეზივიაშვილის, გოგუაძის და ლ. ვასვიანის შემადგენლობით. კომიტეტმა დაამტკიცა იუბილეს ჩატარების ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დათარულ იქნება განსახკომის, სახელგამის და ტფილისის განათლების განყოფილების მიერ. კომიტეტმა დაამტკიცა თუთხმეტამდრანი, რომელთა ქალაქებშიდაც ვაგზავნილ იქნებიან საბავშვო მწერლები და კრიტიკოსები იუბილეს ჩასატარებლად, მოხსენების, მოგონებების წასაკითხად და სხვა სახის მუშაობის ჩასატარებლად. ამ რაიონებიდან აღვნიშნათ: ზუგდიდი, ოზურგეთი, გორი, ონი, თელავი, ყვარელი, ლანჩხუთი, ქიათურა, ახალქალაქი, ადიგენი და სხვები. მივლინებულ იქნებიან საბავშვო მწერლები და მომხსენებლები ბათომა, სოხუმსა, ქუთაისსა და ცხინვალში. მწერლების მივლინება რაიონებში დაიწყება პირველ თებერვლიდან, როცა სკოლებში მეცადინეობა უკვე განახლებული იქნება. კომიტეტმა გადაწყვიტა დააჯილდოოს ის მწერლები, რომლებიც როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდეგ აქტიურ შემოქმედებით ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ საბავშვო ჟურნალებში.

დასაჯილდოებლად წარდგენილ მწერალთა შესახებ ცნობები ცალკე იქნება გამოცხადებული. კომიტეტმა დაადგინა ჩატარდეს ტფილისის და შეძლებისდაგვარად პროვინციის რაიონებში სარაიონო შეკრება მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების, რომელზედაც მოხმენილი

უნდა იქნას მოხსენებები „პიონერის“ 10 წლის შემოქმედებითი განვითარების დღევანდელი მდგომარეობის და ამოცანების შესახებ და იგი დაუკავშირდეს საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის განვითარების და ჩვენი ახალთაობის უკეთ მომსახურების საკითხებს. იუბილეს მსვლელობის პროცესში განსაკუთრებით თავი უნდა გამოიჩინონ ქ. ქ. ტფილისმა, ბათომა, ქუთაისმა, სოხუმმა და ცხინვალმა. ტფილისში: მწერალთა კავშირის, ტფილისის განათლების განყოფილების, კომკავშირის ტფილისის კომიტეტის და „პიონერის“ რედაქციის ხაზით მწერალთა სასახლეში მოეწყობა გრანდიოზული საღამო, რომელზედაც წაკითხულ იქნება მოხსენება „პიონერის“ მუშაობის და საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის საკითხებზე. საღამოზე გამოტანილ იქნება გამოფენა, ლოზუნგები, პლაკატები, „პიონერის“ და სხვა საბავშვო ჟურნალების ექსპონატები („ნოპათის“, „ნაკადულის“, „წითელი სხივის“, „ოქტომბრის“ და სხვ.). საღამოზე მოხდება მწერლების და მკითხველ ბავშვთა შეკრება. საუკეთესო პიონერაზმები საღამოზე წარმოდგენილ იქნებიან თავიანთი შეფასებებით „პიონერის“ გამოსულ ნომრებზე და იმ მოთხოვნებით, რომელსაც ისინი მწერლებსა და „პიონერს“ უყენებდნენ. ბათომა, ქუთაისსა, სოხუმსა და ცხინვალში ასეთ საღამოების მოწყობის საქმე დაევალა განათლების, კომკავშირის და მწერალთა კავშირის ადგილობრივ ორგანოებს. რადიოგაზეთი სისტემატურად გააშუქებს იუბილეს მსვლელობას, ცალკეული რაიონების, სკოლებისა და პიონერაზმების მონაწილეობას იუბილეს ჩატარების საქმეში. ვახ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, „კომუნის-



ტური განათლება“ და „ნორჩი ლენინელი“ სისტემატურად გააშუქებენ იუბილეს მსვლელობის საკითხებს და საერთოდ გააძლიერებენ ახალგაზრდობის და საბავშვო ლიტერატურის შემოქმედებით საკითხებზე ზრუნვას. კომიტემა გ. გოგუაძის წარდგენით დაამტკიცა სადირექტივო ცირკულარი ადგილობრივ განათლების გან-

ყოფილებებისადმი, რომელშიაც მათ მიერ მული აქვთ მითითებები, თუ როგორ უნდა წარმართონ მუშაობა. საიუბილეო კომიტეტის სხდომები ჩატარდება სისტემატურად და ამ სხდომების და ფუნქციების განაწილების საკითხიც განხილულ და დადგენილ იქნა აღნიშნულ სხდომაზე.

კ. ჯიღოთელი

## გ ა ვ შ ვ თ ა შ ე მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა



### პატარა ლენინალები

ლენინის დროშით მოვიმღვროთ ჩვენ, პაწაწინა ბავშვები,—  
ერთად ვსწავლობთ და ითამაშობთ ერთგული ამხანაგები.

მუდამ გვახსოვს და გვაწუხებს,  
რომ განვიცადეთ ზიანი:  
რომ მოკვდა ძი: ლენინი,  
დიდი ბელადი ჭკვიანი.

მაგრამ არ ვტიროთ, ცრემლებით  
არ გვისივდება თვალები:  
პაწინა გოგონებიდან  
გავხდებით დამკვრელ ქალები.

მერი პეტრიაშვილი

თელავის სანიმუშო სკოლის III კლ. მოწაფე.

მ. პეტრიაშვილი



ც. ბუჭურაული

## ოქტომბერი

შენ ხარ მხსნელი მშრომტლების,  
შენ გაწყვიტე ჯაჭვი ტანჯვის,  
ამიტომაც ყველა გეტრფის,  
მოუთმენლად ყველა გელის.

და როდესაც ახლოვდები,  
ყველას ძლიერ გვიხარია,  
თუმცა ცივა და ნისლია,  
გულში მაინც ყვავის ია.

ბოროტსა მტრებს შენი სახე  
შიშით აკრთობს, თავზარსა სცემს,  
ოქტომბერი ჩვენს ქვეყანას  
შრომით აქებს, ალამაზებს.

ციცი ბუჭურაული  
თელავის III კლ. მოწაფე.



მწერალი ბავშვი ლეოპოლდ ხვიჩია,  
რომელმაც ჩვენს ჟურნალში მოათავსა  
რამდენიმე მოთხრობა.

## შრომისა და ბრძოლის 10 წელი

ათი წელია რაც ჟურ. „პიონერი-ს“ ძლე-  
ვამოსილი ნალარა გუგუნებს, ჰყვირის მილიონ-  
ნიან მოზარდ პიონერთა გულებში და მოუ-  
წოდებს მათ განათლების მაღალი მწვერვა-  
ლების დაპყრობისაკენ.

მრავალმა ლიტერატურით გატაცებულმა  
ახალგაზრდამ ჟურ. „პიონერის“ ხელმძღვანე-  
ლობით გზა გაიკაფა მწერლობისაკენ. მრავალ  
ახალგაზრდისათვის ჟურ. „პიონერი“ გადაიქ-  
ცა ლიტერატურულ აკვნად და თვითეული  
მისი სტრიქონიც დედის ტკბილ რძესავით,  
ტკბილ ნანასავით შერგებია.

მეც „პიონერში“ ვებჭდავ მოთხრობებს და  
ძლიერ მოხარული ვარ, რომ ჩემ მოთხრობებს  
კითხულობს ათასეულ მოწაფეთა მასა. ძლი-  
ერ აღტაცებული ვარ რომ „პიონერის“ ფურ-  
ცლებზე მეც დავიკაფე ერთ-ერთი ადგილი  
სხვა ცნობილ მწერლებთან ერთად.

დღეს სრულდება 10 წელი ჟურ. „პიონე-  
რისა“ და ვუსურვებ მას, პიონერთა სახელით,  
რომ მოსწრებოდეს კიდევ სხვა მრავალ  
ათწლებს.

ვუსურვებ რომ იგი დაუფლებოდეს უფრო  
და უფრო მაღალ საფეხურებს მხატვრული  
სიტყვის თქმაში.


მხურვალე პიონერული სალამი ათი წლის  
ახალგაზრდა გმირს!

ლ. ხვიჩია.

ტფ. ჰე-18 შრ. სკ. V კლასის მოწაფე.

# რ ე ბ უ ს ი

შედგენილი ს. ლომთათიძის მიერ



## „პიონერის“ მკითხველთა საყურადღებოდ

საიუბილეო მასალის ნაწილი გადატანილია 1935 წლის პირველ ნომერში „პიონერის“ იუბილეს მსვლელობაზე მასალები წავა „პიონერის“ შემდეგ ნომერში.

ამხანაგო პიონერებო! ყურნალ „პიონერის“ იუბილესთან დაკავშირებით, ფართოდ უნდა გაშალოთ მასიური მუშაობა ადგილებზე, რაც საღამოებისა და რეფერატების წაკითხვაში გამოიხატება, რომ გავცნოთ ჩვენი ყურნალის ისტორიას.

სარედაქციო კოლეგია: ა. გველესიანი, აკ. რახვიაშვილი (პ/მ. რედაქტორი),  
 ა. ზანკივი, ლავრ. ზიზინაძე (პ/მ. მდიანი), შ. თაბუკაშვილი, შ. სინარულიძე, ბორის ჩხეიძე და მ. თომაძე.

საქართველოს სახელგამის კოლიგრაფსკოლა, ა. შიკეთლის ქ. გ/ნ.